www.24saati.ge

# 24 საათი

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი 25 ნოემბერი, 2008 წელი. №263 (2007) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

იმუნიზაციის ულტრათანამედროვე კაბინეტი ჩაჩვას სახელობის ინსტიტუტი
A7

პრესომბუდსმენი
A3



დაგვიანებული შეხვედრა
A10



ქართველი ქალები ოლიმპიურ ოქროს უმიზნებენ
A13



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

# მედვედევის მესიჯი

*გერმანია ან გახდება მსოფლიო ძალა, ან საერთოდ არ იარსებებს.*
*(ადოლფ ჰიტლერი, "ჩემი ბრძოლა", 1925 წ.)*

*რუსეთი ან დიდი და ძლიერი იქნება, ან არსებობას შეწყვეტს.*
*(დმიტრი მედვედევი, უფროს ოფიცერთა კორპუსის წინაშე წარმოთქმული სიტყვა, კრემლი, 30 სექტემბერი, 2008 წ.)*

დევიდ ჯ. სმითი
სპეციალურად "24 საათისთვის"

აგვისტოში საქართველოში რუსეთის შეჭრა ჯერ კიდევ დაგეგმვის პროცესში იმყოფებოდა, როდესაც 7 მაისს მედვედევი პრეზიდენტის უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა. ყველაფრის მიუხედავად, რუსეთის ახალი პრეზიდენტი ომის ენთუზიაზმით აღსავსე მხარდამჭერი და რევიზიონისტული დოქტრინის გამხმოვანებელი აღმოჩნდა, რომელმაც საქართველოში შეჭრას უფრო მეტი სტიმული შემატა. მედვედევის ორმა განცხადებამ, რომელთაც დასავლეთმა ნაკლებად მიაქცია ყურადღება, გამოააშკარავა, რომ საქართველოზე თავდასხმა მხოლოდ მედვედევის დოქტრინის პირველი ძლიერი ამოფრქვევა გახლდათ.

საქართველოში რუსული იარაღის ლულები ჯერ კიდევ თბილი იყო, როდესაც მედვედევმა რუსეთის ტელეარხების - "პირველ არხის", "როსიასა" და "ენტევეს" - მეშვეობით ხუთი საგარეო პოლიტიკური პრინციპი ჩამოაყალიბა. მისი მეორე პუნქტი, კრემლის აზროვნების გასაგებად, უმთავრეს როლს ასრულებს.

**"მსოფლიო მრავალპოლუსიანი უნდა იყოს. ერთპოლუსიანობა მიუღებელია. ვინმეს დომინირებას ჩვენ ვერასოდეს დავუშვებთ,"** - განუცხადა მედვედევმა ტელემაყურებლებს 31 აგვისტოს.

საერთაშორისო ურთიერთობათა სტუდენტებმა, შესაძლოა, იკამათონ იმის თაობაზე, დღევანდელი მსოფლიო ერთპოლუსიანია, მრავალპოლუსიანი თუ საერთოდ უპოლუსო. პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთი უკმაყოფილოა და მედვედევი რევოლუციურ პოზიციას იკავებს.

**"რევოლუციური ძალის განსაკუთრებული ხასიათი მდგომარეობს არა იმაში, რომ ის საფრთხეს გრძნობს, არამედ იმაში, რომ მისი გადარწმუნება შეუძლებელია,"** - წერს კისინჯერი 1957 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში "აღდგენილი მსოფლიო". შესაბამისად, კისინჯერი განაგრძობს, **"ერთი ძალის მიერ აბსოლუტური უსაფრთხოების მოპოვების სურვილი, სხვებისთვის აბსოლუტურად საშიშ მდგომარეობას ნიშნავს."**

გაგრძელება A3 გვერდზე



AFP ' 2008

*დმიტრი მედვედევი*

# თავდასხმა პრეზიდენტებზე

*23 ნოემბერს, საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტების კორტეჟს ცეცხლი მაშინ გაუხსნეს, როცა მათი მანქანების კოლონა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის ახალგორის მონაკვეთთან მდებარე რუსულ საგუშაგოს მიუახლოვდა. სროლა 5-7 წუთს გრძელდებოდა. პრეზიდენტების კორტეჟმა ტერიტორია მალევე დატოვა და ქართულმა მხარემ საპასუხო ცეცხლი გახსნა. რუსეთის თავდაცვის სამინისტრო პრეზიდენტებისთვის ცეცხლის გახსნის ფაქტს უარყოფს, თუმცა ცხინვალის ე.წ. უშიშროების სამსახური ახალგორთან პრეზიდენტების კორტეჟის შეჩერებას ადასტურებს.*

ნათია მსხილაძე

ოფიციალური თბილისის განცხადებით, მომხდარმა ინციდენტმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ რუსეთი არ ასრულებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას.

**"ეს არის კიდევ ერთი შეხსენება ზოგიერთი ევროპელი პოლიტიკოსისთვის, რომელიც ამბობს, რომ რაღაც პირობები შესრულდა და ყველაფერი უნდა დარჩეს ისე, როგორც არის. ევროკავშირის შეთანხმებების ყველაზე უხეში დარღვევაა ის, რომ საქართველოს შუაგულში დგანან ოცდამეერთე საუკუნის ოკუპანტები, რომელთაც იქ ყოფნის და ხალხის შევიწროების არანაირი მორალური, იურიდიული ან სხვა უფლება არა აქვთ,"** - განაცხადა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

რაც შეეხება პოლონეთის ხელისუფლების პოზიციას, მეგობარი ქვეყანა ახალგორთან მომხდარი ინციდენტის დაუყოვნებლივ შესწავლას ითხოვს. თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ აღნიშნა, რომ მან ზუსტად არ იცის, გასროლები ჰაერში განხორციელდა თუ სხვა მიმართულებით. **"მე აქედან მივმართავ ჩემს მეგობრებს ევროკავშირში და ასევე ჩემს მეგობრებს ამერიკის შეერთებულ შტატებში და ვთხოვ, სანამ ძალიან გვიან არ არის, ამ ინციდენტიდან სწორი დასკვნები გააკეთონ,"** - განაცხადა კაჩინსკიმ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საქართველო ბრიუსელის ობიექტივში

*ნიცაში ჩატარებულმა რუსეთ-ევროკავშირის სამიტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა ახალ რეალობებზე იწყებს დაფუძნებას. ევროკომისიის მაღალჩინოსნები ღიად აცხადებენ, რომ ევროპამ და რუსეთმა ერთმანეთთან მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ. ასევე ღიად აფიქსირებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერას.*

ლევან ღირსიაშვილი
ბრიუსელიდან

ფიქრობენ თუ არა ევროკომისიაში, რომ რუსეთისა და ევროკავშირის თანამშრომლობის განახლებამ, მაშინ, როდესაც კრემლს ჯერ კიდევ არ შეუსრულებია სარკოზის სამშვიდობო გეგმა, შესაძლოა დასავლური მხარდაჭერის მიმართ საქართველოს საზოგადოების, განსაკუთრებით კი ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სკეპტიციზმი გამოიწვიოს?

**"ევროკავშირმა ძალიან ბევრი გააკეთა საქართველოსთვის,"** - განუცხადა "24 საათს" მარკუს კორნადომ, ევროკომისიის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დირექტორმა. **"ყველაზე ადრე და დროულად სწორედ ჩვენ მოვახდინეთ რეაგირება, როდესაც რუსული ტანკები თბილისთან იდგნენ, ასევე უპრეცედენტოდ მოკლე დროში მოვავლინეთ მონიტორინგის მისია საქართველოში და მოვიწვიეთ დონორთა სამიტი, რომელმაც საკმაოდ სოლიდური თანხები გამოყო თქვენი ქვეყნის დასახმარებლად,"** - ამბობს კორნადო. მისი თქმით, სწორედ ეს დახმარებებია გასათვალისწინებელი, როდესაც საქართველოს მიმართ ევროპის მხარდაჭერაზე ვსაუბრობთ. რუსეთ-ევროკავშირის მოლაპარაკების აღდგენა კი არ ნიშნავს, რომ ევროპამ საქართველოს ზურგი აქცია. პირიქით, სწორედ ამ თანამშრომლობით გახდება შესაძლებელი ახალი და სასარგებლო ნაბიჯების გადადგმა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოსაგვარებლად.

გაგრძელება A2 გვერდზე

## თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

**1. რა გავლენა მოახდინა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ქართულ ბანკებზე და როგორ აისახა ეს პროცესი კონკრეტულად თი-ბი-სი ბანკზე?**

***ნინო მასურაშვილი - თიბისი ბანკის საცალო საბანკო ბიზნესის დირექტორი:***

მსოფლიო კრიზისმა არასასურველი გავლენა იქონია ქართულ საბანკო სექტორზე, თუმცა ეს პროცესი საქართველოში შედარებით უმტკივნეულოდ განვითარდა, ვიდრე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მაგალითად რუსეთში, სადაც რამდენიმე მსხვილი ბანკი არათუ კრედიტებს, არამედ კლიენტების ანგარიშებზე ჩარიცხულ თანხებსაც კი ველარ გასცემს. ქართულ ბანკებს მსგავსი პრობლემები არ შექმნიათ.

თი-ბი-სი ბანკმა, ისევე, როგორც სხვა ქართულმა ბანკებმა, მხოლოდ ერთი დღით შეაფერხა მუშაობა აგვისტოს ომის პერიოდში. დღეისთვის იგი ჩვეული დატვირთვით ემსახურება მომხმარებელს.

**2. რატომ გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები სესხებზე და რა პირობებით გასცემს თი-ბი-სი ბანკი სესხებს?**

საქართველოს საბანკო სივრცეში სესხების გაცემის პირობებში ცვლილებები ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო, რაც გლობალური ფინანსური კრიზისით იყო გამოწვეული. საქმე ისაა, რომ მსოფლიოში და შესაბამისად საქართველოშიც ბანკებისთვის გართულდა ფინანსური ინსტიტუტებიდან თანხების მოზიდვა, ხოლო მოზიდული რესურსი მკვეთრად გაძვირდა. სწორედ ამიტომ მოხდა სესხებზე პროცენტების მომატება, როგორც თი-ბი-სი ბანკში, ასევე ზოგადად საბანკო სექტორში.

რაც შეეხება სესხის გაცემის პირობების კონკრეტულ ცვლილებებს, ამჟამად თი-ბი-სი ბანკი სესხებს გასცემს შემდეგი საპროცენტო განაკვეთებით: იპოთეკურ სესხზე 18 პროცენტიდან, სამომხმარებლო სესხებზე 26-დან , ავტოგანვადებებზე - 20 პროცენტიდან, ხოლო თი-ბი-სი ქარდის საპროცენტი განაკვეთები კი არ შეცვლილა.

**3. ამბობენ, რომ აგვისტოს მოვლენების დროს მომხმარებლების უმეტესობამ გაიტანა დეპოზიტები ბანკებიდან. როგორ ფიქრობთ, რამდენად სანდოა დღეს ბანკებთან ურთიერთობა?**

***ნინო ყაჭეიშვილი - თიბისი ბანკის საცალო გაყიდვების განყოფილების უფროსი:***

მართალია, ომის დაწყებიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საერთო დაძაბულობის ფონზე, თი-ბი-სი ბანკიდან, ისევე, როგორც მთელი საბანკო სექტორიდან, მოხდა სახსრების გადინება, მაგრამ უკვე აგვისტოს მეორე ნახევრიდან გატანილი თანხების უდიდესი ნაწილი ბანკის კლიენტებმა უკან დააბრუნეს. ერთ მაგალითს მოვიყვან: თი-ბი-სი ბანკის ანაბრების გათამაშების - "გახდი მილიონერი თი-ბი-სი ბანკთან ერთად" - აგვისტოს ეტაპის გამარჯვებული გახდა კლიენტი, რომელმაც თი-ბი-სი ბანკში ანაბარი სწორედ ომის დაწყებიდან მესამე დღეს გახსნა.

რაც შეეხება ნდობის ფაქტორს, დღეს ქართული საბანკო სექტორი მართლაც გამოირჩევა სტაბილურობით და შესაბამისად, მოსახლეობის მაღალი ნდობით სარგებლობს. ეს ფაქტი განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე, როცა მაღალი ლიკვიდურობის წყალობით ქართულმა ბანკებმა თავიდან აიცილეს სერიოზული პრობლემები.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბანკო სექტორისათვის გამოყოფილია 850 მილიონ აშშ დოლარის დაფინანსება, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ ქვეყნის საბანკო სისტემას და ეროვნულ ვალუტას პრობლემები არ შეექმნება.

**4. თი-ბი-სი ბანკში გახსნილი მქონდა ანაბარი, რომელსაც ვადა ოქტომბერში გაუვიდა. მაინტერესებს მივიღებ თუ არა მონაწილეობას მილიონის გათამაშებაში?**

თი-ბი-სი ბანკის მილიონის გათამაშება 2008 წლის 16 თებერვლიდან დაიწყო და მასში მონაწილეობას იღებს ყველა ფიზიკური პირი, რომელმაც 16 თებერვლიდან - 16 დეკემბრამდე პერიოდში, მინიმუმ სამი თვის ვადით და მინიმუმ 2000 ლარის ოდენობის თანხით გახსნა თი-ბი-სი ბანკში "ვადიანი", "ვადიანი +", "ჩემი სეიფი" ან "ზრდადი ანაბარი".

თუ თქვენ ამ პერიოდში გახსენით ანაბარი, თქვენც ავტომატურად ჩაერთვებოდით გათამაშებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ხნის განმავლობაში შანსი გქონდათ, მოგეგოთ ახალი ავტომობილი "ჰიუნდაი ელანტრა". დღეისთვის თი-ბი-სი ბანკმა უკვე გაათამაშა რვა ავტომობილი, მეცხრე გამარჯვებულს კი 29 ნოემბერს, "რუსთავის 2"-ის პირდაპირ სატელევიზიო ეთერში გამოავლენს.

თუ თქვენს ანაბარს ვადა ოქტომბერში გაუვიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ უკვე გამოეთიშეთ ამ აქციას, მაგრამ ჯერ კიდევ გაქვთ შანსი მთავარი პრიზი - 1 მილიონი ლარი მოიგოთ. ამისთვის საჭიროა მოასწროთ და 16 დეკემბრამდე გახსნათ ანაბარი თი-ბი-სი ბანკში და ვინ იცის, იქნებ სწორედ თქვენ ხართ ის იღბლიანი, რომელიც 31 დეკემბერს, ახალი წლის ღამეს მილიონს მოიგებს.

# საქართველო ბრიუსელის ობიექტივში

პირველი გვერდიდან

**"ამდენად, საქართველოს მოსახლეობა უნდა დარწმუნდეს, რომ ევროკავშირი საქართველოს მეგობარია და მხარდაჭერა საკმაოდ ეფექტურია,"** - დასძინა კორნადომ

საქართველოს გარდა, რუსულ-ევროპულ თანამშრომლობას სხვა ფაქტორებიც განსაზღვრავს. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი ბელარუსია, რომელიც უკვე აქტიურად ლავირებს რუსულ-დასავლურ ინტერესებს შორის. რუსეთის ზეწოლით ლუკაშენკოს მთავრობამ შესაძლოა სოხუმის და ცხინვალის რეჟიმები ალიაროს. საინტერესოა, როგორი იქნება ასეთ შემთხვევაში ევროპის რეაქცია? ამ საკითხთან დაკავშირებით ევროკომისიაში "24 საათის" წყარომ განაცხადა, რომ ევროპა გაგებით მოეკიდება ლუკაშენკოს მდგომარეობას. **"ჩვენ გვესმის, რომ ეს განპირობებული იქნება რუსეთის ზეწოლით და რუსული გაზის ფაქტორით. ამიტომ არა მგონია ჩვენ ამის გამო ბელარუსთან ახლახან აღდგენილი ურთიერთობები გავაჩეროთ და რამდენიმე წლით ადრე არსებულ ვითარებას დავუბრუნდეთ,"** - ამბობს წყარო.

თუმცა, მისივე თქმით, ბრიუსელი მინსკს ურჩევს, რომ სეპარატისტული რეგიონების ალიარებისგან თავი შეიკავოს და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას პატივი სცეს.

ბრიუსელში ნატო-საქართველოს სამომავლო პერსპექტივითაც დავინტერესდით. ის, რომ დეკემბერში საქართველო ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმაზე ვერ გადავა, უკვე ნათელია. როგორც, ნატო-ს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა (რომელმაც ასევე ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა), ჩვენთან საუბრისას განაცხადა, ტერიტორიული მთლიანობის გარდა კიდევ ბევრი საკითხია, რაც ნატო-ში ქვეყნის ინტეგრაციას აფერხებს. **"პირველ რიგში, ეს არის დემოკრატიის დაბალი ხარისხი, რაც გამოიხატება თავისუფალი ტელემედიის არარსებობაში. მეორე - ეს არის სასამართლო რეფორმის არგანხორციელება, ასევე უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებები,"** - აცხადებს წყარო ნატოში. მისი თქმით, ეს პრობლემები დროულად უნდა მოგვარდეს, რათა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის 26-ვე ქვეყანა დარწმუნდეს საქართველოს მხარდაჭერის აუცილებლობაში.



*მარკუს კონრადთ: "საქართველოს მოსახლეობა უნდა დარწმუნდეს, რომ ევროკავშირი საქართველოს მეგობარია და მხარდაჭერა საკმაოდ ეფექტურია*

ბრიუსელში ყოფნის დროს, "24 საათს" შესაძლებლობა მიეცა ჟენევაში გამართულ ქართულ-რუსული მოლაპარაკების შედეგებზეც მიეღო გარკვეული ინფორმაცია. ამ საკითხზე ევროკომისიის მაღალჩინოსანთან შედგა შეხვედრა, რომელმაც ასევე არ ისურვა თავისი ვინაობის გამჟღავნება. მისი თქმით, ჟენევაში საკმაოდ სასარგებლო შეხვედრა ჩატარდა, სადაც ყველა მხარე ინდივიდუალუარდ, სტატუსის გარეშე იყო წარმოდგენილი. **"ეს იყო ძალიან პროდუქტიული შეხვედრა კონკრეტული შედეგების გარეშე. მთავარია, მხარეებს შორის არსებული მაღალი ტემპერატურა დავწიოთ. ეს იყო ჟენევის შეხვედრის უპირველესი მიზანი, რაც, ვფიქრობ, მიღწეულ იქნა. სწორედ ამიტომაა საჭირო ასეთი არაფორმალური შეხვედრები. ჟენევაში მხარეებს საშუალება ქონდათ არაფორმალურ ვითარებაში ემუშავათ, ლანჩის და ვახშმის დროს ერთანეთს პირისპირ შეხვედროდნენ, დერეფნებსა და ეზოში, გაეღიმათ ერთმანეთისთვის. ასეთი დეტალები ძალიან მნიშვნელოვანია. ურთიერთობები სწორედ ასე, ნულიდან უნდა დაიწყოს,"** - აცხადებს წყარო. მისი თქმით, საუბარი ზოგადი იყო და ყველა მხარე შეთანხმდა, რომ აუცილებელია დევნილების დაბრუნება, რაც უდავოდ მისასალმებელია. შეკითხვაზე, განიხილეს თუ არა აფხაზეთში რუსების მიერ ქართველი დევნილების ქონების შესყიდვის პროცესი, წყარომ განაცხადა, რომ ამ შეხვედრაზე ეს თემა არ განუხილავთ. **"ჯერ მთავარია, სხვა, უფრო მეტად სასიცოცხლო საკითხების მოგვარება. მთავარია, რომ გადაიდგას ნაბიჯები ჯერ კიდევ არსებული დაძაბულობის განსამუხტად, რომ კონფლიქტის ზონებში აღიკვეთოს ძალადობის და სროლის ფაქტები, დაიწყოს დევნილთა უსაფრთხო დაბრუნება. თუმცა, ქონების შესყიდვის საკითხიც უმნიშვნელოვანესია და ალბათ უახლოეს პერიოდში გახდება განხილვის საგანი,"** - ამბობს წყარო.

რაც შეეხება საკითხს, თუ რა სტატუსით იქნებიან მომავალში მიწვეულები ჟენევაში მხარეები, ევროკომისიის მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ შესაძლებელია, ზუსტად ისეთივე ხერხი გამოიყენონ, როგორც ამჟამად - ევროკავშირის ნოტა ყოველგვარი სტატუსის დაკონკრეტების გარეშე გაეგზავნებათ მხარეებს, რომლებიც თავად გადაწყვეტენ, თუ ვის აარჩევენ მოლაპარაკებებზე გასაგზავნად. მან ასევე, "სიცრუე" და "სიყალბე" უწოდა, აფხაზი სეპარატისტების "სიხარულს", როდესაც სერგეი შამბამ განაცხადა, რომ ევროკავშირის ნოტაში სეპარატისტული სოხუმი ოფიციალურ მხარედ იყო მიწვეული.

# თავდასხმა პრეზიდენტებზე

პირველი გვერდიდან

### თბილისის და ვარშავის რეაქცია

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ინციდენტს საქართველოს და პოლონეთის პრეზიდენტებზე "თავდასხმა" უწოდეს. **"ცეცხლი პრეზიდენტების მიმართულებით გაიხსნა. ეს თავდასხმა უნდა იყოს გამაფრთხილებელი ნიშანი იმ სახელმწიფოებისთვის, რომელთაც კვლავ აქვთ რაღაც ილუზიები რუსეთის რეჟიმთან მიმართებით,"** - განუცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ ქართველ ჟურნალისტებს.

საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა ჟვანია ორი ქვეყნის პრეზიდენტებზე განხორციელებულ თავდასხმას დასაგმობ ფაქტს უწოდებს.

როგორც ლაშა ჟვანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, თავად ფაქტი, რომ რუსეთი განაგრძობს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას, არის ყველანაირი პროვოკაციის და იმის საფუძველი, რაც არღვევს საერთაშორისო წესრიგს, რეგიონში სიმშვიდესა და უსაფრთხოებას. **"ამიტომ დასაგმობია არა ერთი, ორი და სამი პროვოკაცია, არამედ თავად არსი რუსეთის ქმედებებისა საქართველოს, მთელი რეგიონის და მთლიანად საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ,"** - აღნიშნა ლაშა ჟვანიამ.

პოლონეთის სახელმწიფო მინისტრი მიხალ კამინსკი ახალგორთან მომხდარ ინციდენტში რუსულ მხარეს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ცეცხლი რუსული მხარის მიერ გაიხსნა. **"როდესაც რუსულ პატრულს მივუახლოვდით, მათი მხრიდან გასროლის ხმა გაისმა, სროლის, სულ მცირე, სამი სერია იყო, პრეზიდენტი სიმშვიდეს ბოლო წუთამდე ინარჩუნებდა. ყველა შემთხვევაში ცეცხლი რუსული მხრიდან გახსნეს, თუმცა დასადგენია, ისინი ჰაერში ისროდნენ თუ ჩვენი მიმართულებით,"** - განაცხადა პოლონეთის სახელმწიფო მინისტრმა.

### უკუბრალდება

ოსი სეპარატისტები ორი ქვეყნის პრეზიდენტებს რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით პროვოკაციაში ადანაშაულებენ. **"ის, რაც მოხდა, საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტების მხრიდან სერიოზულად დაგეგმილი პროვოკაციაა. ევროკავშირი კარგად უნდა დაფიქრდეს, ღირს კი ისეთ ქვეყნებთან მეგობრობა, როგორიც საქართველო და პოლონეთია, რომლებიც მუდმივად ცდილობენ რუსეთის პროვოცირებას და რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციას,"** - განუცხადა "ინტერფაქსს" სეპარატისტების ლიდერმა კოკოითიმ.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო პრეზიდენტებისთვის ცეცხლის გახსნის ფაქტს უარყოფს, რუსული საგარეო უწყება კი 23 ნოემბერს განხორციელებულ სროლებს "პროვოკაციას" უწოდებს. **"ეს ნამდვილი პროვოკაციაა. პირველად არ ხდება მსგავსი შემთხვევა. ყველაფრის ორგანიზებას თავად აკეთებენ, შემდეგ კი რუსულ ან ოსურ მხარეებს აბრალებენ. თუ პრეზიდენტი სააკაშვილი ჟენევის პროცესში სერიოზულ მონაწილეობას აპირებს, მაშინ მან უნდა შეწყვიტოს თავისი პროვოკაციები. პროვოკაციას წარმოადგენს თავად ის ფაქტი, რომ ერთი ქვეყნის პრეზიდენტი მეორე ქვეყნის პრეზიდენტს თბილისში იწვევს და შემდეგ სხვა ქვეყანაში მიჰყავს,"** - ეს განცხადება "ინტერფაქსმა" რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის სიტყვებზე დაყრდნობით გაავრცელა.

### უცხოური მედია ფაქტის შესახებ

უცხოური მედია ახალგორთან მომხდარ ინციდენტს აქტიურად ეხმაურება.

ტელეკომპანია CNN-ის ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტი მომხდარში ცალსახად რუსულ მხარეს ადანაშაულებს და ინციდენტს პროვოკაციად აფასებს. ანალოგიური ბრალდებით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გამოდის.

CNN-მა მაყურებელს რუსულ-ქართული ომის ქრონოლოგიაც შეახსენა. კონფლიქტის დასაწყისად ტელეკომპანიამ 29 აპრილი დაასახელა, როდესაც რუსეთმა აფხაზეთში დამატებითი ძალები შეიყვანა.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

## პრესომბუდსმენი

ნოდარ ლადარია

"თუ ვერაფრით ჩამოდიხარ, აგურით იარე", გვასწავლის პრეფერანსის მოყვარულთა გაცვეთილი სიბრძნე. ასეთი "აგურები" ჩვენს გაზეთშიც მეგულება: სამშაბათობით **გიგა ზედანია**, პარასკევობით კი **ლაშა ბუღაძე**. როცა მთელი კვირის განმავლობაში "24 საათი" საკბილოს არ იძლევა, ამ ორი ავტორის ნაღვაწი ყოველთვის გიჩვენებს გამოსავალს. მაგრამ გასულ სამშაბათს გიგა ზედანიას არაფერი გამოუქვეყნებია, ლაშა ბუღაძე კი ერთი ჩვეულებრივზე მოკლე შენიშვნით შემოიფარგლა.

იქნებ ასეც ჯობდეს: ბოლოს და ბოლოს, არც ისე უბედურ დღეში ვართ, ხელში მაინცდამაინც ორი აგური რომ მეჭიროს.

ერთი სიტყვით, ისევ ლაშა ბუღაძის რუბრიკას მივხედოთ, მით უმეტეს, რომ 21 ნოემბერს აქ განხილულ საკითხს მეც არაერთხელ შევხებივარ. ისევ და ისევ პოლიტიკური დებატების ყოფნა-არყოფნას ვგულისხმობ.

ჯერ მოცემულ თემაზე ჩემს აზრს მოგახსენებთ, უფრო სწორად, გავიმეორებ: საქართველოს პრეზიდენტის, **მიხეილ სააკაშვილის** მიერ პარლამენტში გაკეთებული განცხადება, რომ ტელევიზიამ რეგულარულად უნდა გადმოსცეს პოლიტიკური დებატები, არის საქართველოში მედიაზე ზეწოლის ერთ-ერთი აშკარა და ცხადი ნიმუში, ამ დირექტივის თითქმის ნულოვანი შედეგი კი მისი შესრულების შეუძლებლობითაა გამოწვეული. სწორედ ამ შეუძლებლობაზე ვისაუბრებთ დღეს.

ლაშა ბუღაძის ჩანახატი ხმამაღალი სათაურით - *საქართველოს ტკივილები* - სხვანაირად ასახავს ვითარებას. თუმცა ხმამაღალი რატომ დავარქვი ამ სათაურს? ჩვენი ავტორის ერთი ფუნდამენტური თვისება გამოჩნდა აქაც: დანამდვილებით ვერ იტყვი, მართლა ტკივილს გულისხმობს, თუ ირონიულად იღიმება. ახლა კი ჩანახატის ზოგადი შინაარსი: სააკაშვილის განცხადება, თავისთავად, დადებით ძვრაზე მიგვანიშნებს, ოღონდ ტელევიზიები მას ვერ ასრულებენ. ან იქნებ არ ასრულებენ? მაგალითად, თვით ხელისუფლება, საქვეყნოდ რომ დებატების განახლებას აცხადებს, შეფარვით ხელს უშლის და რეალური დებატების მაგიერ რაღაც ფიქციას გვაპარებს.

მაგრამ ლაშა ბუღაძის ტექსტზე დაყრდნობით, ამ ორი ვარიანტიდან ვერც ერთს ვერ ამოვირჩევთ. აკი მოგახსენეთ ფუნდამენტური თვისების შესახებ: ავტორი ცხადად არ გვეუბნება, რა მიაჩნია დირექტივის შეუსრულებლობის მიზეზად - ხელისუფლების მსახვრალი ხელი თუ თვით მედიის დაუძლეველი ბედოვლათობა. ავტორი საქართველოში ერთობ პოპულარული დილემის, "პოზიცია-ოპოზიციის" უხილავ ზღუდეზე იჭერს არამდგრად წონასწორობას. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამჟამად ლიტერატურულ კრიტიკას არ ვაპირებთ. ჩვენ საკითხის არსი გვაინტერესებს...

ვნახოთ კვანძის შეკვრა: "**ერთ-ერთმა ტელევიზიამ მაშინვე ყურად იღო პრეზიდენტის მოწოდება და თავის არხზე ბევრისათვის დიდი ხნის სანატრელი პოლიტიკური (?) დებატები აღადგინა**". ლაშას ეს გადაცემა თავიდან ბოლომდე არ უნახავს და მისი არც სახელი იცის. ვაღიარებ, რომ მეც იმავე მდგომარეობაში ვარ. მაგრამ უნდა ვივარაუდო, რომ საქმე ან "რუსთავი 2"-ს ეხება, ან "იმედს". რატომ? იმიტომ, რომ წამყვანის როლს გადაცემაში ანიმაციური ვირი ასრულებს, ამას კი "კავკასია" ვერ გაქაჩავდა. ბოდიშს გიხდით! სულ დამავიწყდა "საზოგადოებრივი მაუწყებელი": ვინ იცის, რას შეიძლება მოელოდე გენერალური პროდიუსერისგან, რომელსაც ასეთი ტიტანური გზა აქვს გამოვლილი "მსკ"-დან "დარდუბალამდე".

ერთი სიტყვით, ხსენებული გადაცემის შესახებ, რომლის წამყვანად ანიმაციური ვირი მუშაობს, მეც და ჩანახატის ავტორსაც მეტად მწირი ცნობები გვაქვს. მეტს ნუ მოგვთხოვთ: ცხოვრებაში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და სასიამოვნო შესაძლებლობები არსებობს. ლაშა ბუღაძეს სწორედ ეს ვირი მიაჩნია ქართული მედიის სიმბოლოდ: "**არც ხოფერია, არც გრიგოლია, არამედ ვირი!**".



ამას კიდევ ერთი შეძახილი მოჰყვება: "**მართლაც, რად გინდა ან ერთი, ან მეორე, ან თუნდაც სულ ახლახან აორთქლებული სამკუთხედი !**". დიახ, ვირი მართლაც გამოდგება ქართული მედიისა და პოლიტიკის ურთიერთობის სიმბოლოდ. ერთნაირი წარმატებით გამოხატავს როგორც ჟურნალისტების საშუალო ინტელექტუალურ დონეს, ასევე დებატების საერთო კულტურას. მაგრამ ეს ორი მიმართულება შეიძლება შეიკრას ერთი სიტყვით: დეფიციტი. სიტყვა, მოგეხსენებათ, ნაკლებობას ნიშნავს. ნაკლებობა კი ჩვენს სინამდვილეში მეტად გავრცელებული მოვლენაა, იმდენად გავრცელებული, რომ აუცილებლად მოითხოვს დაკონკრეტებას. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ მოდებატე მხარეების ნაკლებობაზე.

მართლაც საოცარია: თითქოს ჩვენს ეროვნულ პოლიტიკაში მოფუთფუთე სუბიექტებში ერთ წყვილსაც ვერ იპოვი, ერთმანეთთან გასაყოფი რომ არ ჰქონდეს, მაგრამ კიდევ უფრო ძნელი საპოვნია წყვილი, რომლის კამათიდან გონიერი კაცი აზრს გამოიტანს. შეიძლება გადაცემის შემქმნელებს ცხადად არ უფიქრიათ ამაზე, შეიძლება ბევრი შემთხვევითი მიზეზიც იყო, მაგრამ არსებითად სწორედ ამ კონკრეტულმა დეფიციტმა განაპირობა "ახლახან აორთქლებული" "სამკუთხედის" ფორმატი: მოკამათე წყვილის შერჩევა ყოველთვის პრობლემაა, ყოველ კვირას ერთი სტუმარი და ერთი წამყვანი კი ინტერვიუს უფრო ჰგავს, ვიდრე "დებატებს", თანაც ეს ეკოლოგიური ნიშა **დავით აქუბარდიას** უჭირავს. ამიტომ იქნა არჩეული ასეთი განაწილება: ერთი სტუმარი და ორი წამყვანი.

მაგრამ დავუბრუნდეთ ლაშა ბუღაძის ტექსტს. დახატული ვირი თურმე გასაგებად მეტყველებს ქართულად. ავტორი მაინც უკმაყოფილოა: "**რომ არ ელაპარაკა და უბრალოდ ეყროყინა, კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა. ვირი გაუთავებლად იყროყინებდა, სტუმარი კი იმაზე ისაუბრებდა, რაზეც მოეხასიათებოდა. მთავარი ხომ ის არის, რომ გადაცემა რაღაცნაირად მაინც ჰგავდეს დებატებს!**" ბოლო ფრაზა მიგვანიშნებს, რომ ქართულ პოლიტიკურ ყურძენზე დაყენებული ღვინის მაგიერ შაქრიან წყალს გვაწვდიან. მაგრამ ამ შემთხვევაში ნატურალური ყროყინი სრულიად ზედმეტია, რადგან ჩვენი პოლიტიკოსების პასუხები ნებისმიერ საქმიან შეკითხვას უბრალო ყროყინად აქცევს. აი, თუნდაც, მაგალითი ოპოზიციის (სათანადო ზედსართავი ვერ მოვუძებნე!) და უცხოელი ელჩების შეხვედრიდან:

**შეკითხვა**: რა კონკრეტული მექანიზმები გაქვთ მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად?

**ეკა ბესელია**: ჩვენი ყველა მოთხოვნა ლეგიტიმურია!

ან, თუნდაც, ეს მაგალითი ავიღოთ "24 საათის" 17 ნოემბრის ნომრიდან: აქ ქუთაისის მერს, **ნუგზარ შამუგიას** ეკითხებიან, რას ფიქრობს იგი ლეიბორისტ **სამსონ გუგავას** რომელიღაც განცხადებაზე. პასუხი არ აყოვნებს: "**რა შეკითხვაა ეს? სამსონას ეკითხებით რაღაცებს და ამაზე მთხოვთ პასუხის გაცემას?**".

ეჰ, ნუგზარ, ნუგზარ! ეს გუგავა, მართალია, ბიბლიური სამსონი არ არის, მაგრამ არც სატანა და მეფისტოფელია. ასე რამ გაგაბრაზა?

ამ გახსენებაზე კი კვლავ ლაშა ბუღაძეს დავუბრუნდეთ, რომელმაც თავის შემოქმედებაში არა მარტო ნუგზარისა და მეფისტოფელის თემა ამოწურა, არამედ დაცვის ბიჭებსაც აუარა გვერდი და ახლა პირდაპირ პრეზიდენტს უტევს. თავს არ შეგაწყენთ ციტირებით, პირდაპირ გეტყვით, რომ საქმე ეხება მიხეილ სააკაშვილის სტუმრობას 2007 წლის 7 ნოემბერს ნაცემ კაცთან. განმარტების სახით დავურთავ, რომ ეს კაცი იმიტომ არ უცემიათ, რომ ზაქესავით ხეზე იყო ამძვრალი...

ლაშა ბუღაძემ მიზანში ამოიღო სააკაშვილის ეს მედია-აქტი. ჩემი საქმე კი პარალელების მოძიება და გარემომცველ რეალობაში კონტრასტის შეტანაა. აი, პარალელიცა და კონტრასტიც: ლეიბორისტ **შატბერაშვილის** ინტერვიუ რადიო "იმედისათვის". ლეიბორისტი, ანუ შრომის პარტიის წევრი გვეუბნება, რომ პარლამენტში არშესულებს ჯერ არ უნდოდათ სადეპუტატო ხელფასის აღება, მაგრამ შიდა ქართლიდან ლტოლვილების დასახმარებლად ფული შემოაკლდათ და სწორედ ამისათვის იყენებენ ამ ხელფასს. არა, რა თქმა უნდა, რაღაც თანხა ოჯახებშიც შეაქვთ, მაგრამ ძირითადი ნაწილი - ლტოლვილებს.

შევადაროთ ეს ორი პოლიტიკოსი. არა, ცხვირს ნუ აიბზუებთ, ბატონებო: დებატების მოთხოვნა საქართველოში ხომ იგივეა, რაც სააკაშვილ-შატბერაშვილის წყვილთან შერიგება. ასე რომ, განვაგრძოთ:

ერთი პოლიტიკოსი უნიჭო მედიააქტს ასრულებს. უნიჭობა იმაში მდგომარეობს, რომ აქტი აშკარად სხვა, სავარაუდოდ, პროტესტანტული რეალობიდანაა აღებული. მეორე პოლიტიკოსი საქვეყნოდ ლაპარაკობს იმაზე, რისი არა თუ უნდა რცხვენოდეს, აზრადაც არ უნდა მოსდიოდეს. ამავე დროს, "ნორმალურ" ქვეყანაში პირველს ელექტორატი შეემატებოდა (მცირედ მაინც), მეორე კი სრულიად დაკარგავდა ამომრჩეველს.

ამრიგად, განსხვავება წმინდად ესთეტიკურია: სააკაშვილის სწორხაზოვნებას აშკარად აკლია გემოვნება. ამიტომაც ამჩნევს ამას ასე ადვილად ბელეტრისტი და ამიტომაც კიცხავს. რაც შეეხება შატბერაშვილს, მისი გაკიცხვა თავად იქნებოდა სწორხაზოვნება, რაც ბელეტრისტის ღირსებას არ შეეფერება. მაგრამ რომ არ გავკიცხოთ, არამედ განვიხილოთ? სხვა სიტყვებით, მეცნიერის პოზიციიდან მივუდგეთ, ანუ იმ მხრიდან, საიდანაც ესთეტიკური კატეგორიები ვერ აბრკოლებს ცნობის წადილს. მაშინ გამოდის, რომ შატბერაშვილის სიტყვა და საქმე სრულიად ადეკვატურია ჩვენი მენტალობის იმ ღრმად მდებარე შრისათვის, რომლის გამოც გვიწოდა **იოჰან გოტფრიდ ჰერდერმა** ქურდების ერი.

ჰოდა, გამოდის, რომ ვიღაცის ჭყეტელა ჰალსტუხის კრიტიკას ადვილად მიიჩნევენ საკუთარ ესთეტიკურ ვალდებულებად, ისევე, როგორც სხვისი ტალახიანი ფეხსაცმლის შენიშვნას მიიჩნევენ დაუშვებელ უტაქტობად. სწორედ სინამდვილისადმი ამგვარი ვიწროდ სალონური მიდგომის შედეგად, სააკაშვილი საყვედურის ობიექტი ხდება, შატბერაშვილი კი თავს არიდებს სამართლიან რისხვას.

არა, გემოვნება ერთობ სასარგებლო რამაა, თანაც ძლიერი. და როგორც ყოველივე ძლიერს, მასაც თან ახლავს ხიფათი. საქმე ისაა, რომ ჩვენში გემოვნების უმთავრესი კრიტერიუმი ფერთა შეხამება, ანუ მიმიკრიაა. მაგრამ, როცა გარდამტეხი ცვლილებები სასიცოცხლო აუცილებლობად ქცეულა, გემოვნება მხოლოდ დაბრკოლებაა.

არვის ეგონოს, თითქოს სააკაშვილის მედია-აქტის გამართლებას ვცდილობ. მე რომ პრეზიდენტის მრჩეველი ვიყო, ამას არ ვურჩევდი. მაგრამ პრეზიდენტებს მრჩევლები იმიტომ არ ჰყავთ, რომ არ ურჩიონ. რას ვურჩევდი? - რა თქმა უნდა, იმ პოლიციელის მონახულებას, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბერს წიხლებით სცემა გავეშებულმა ბრბომ.

# მედვედევის მესიჯი



პირველი გვერდიდან

ეს დაკვირვება ნათელს ჰფენს მედვედევის, სავარაუდოდ, უწყინარ პირველ პრინციპს - "**რუსეთი ცნობს საერთაშორისო სამართლის პრინციპების პრიმატს.**" თუ საერთაშორისო სამართალი საყოველთაოდ მიღებული მსოფლიო წესრიგის იურიდიული გამოხატვაა, მედვედევს არ შეუძლია, ერთდროულად უარყოს თანამედროვე მსოფლიო და პატივი სცეს მის სამართლებრივ ნორმებს.

ნაცვლად ამისა, რევოლუციური ძალა, როგორიც რუსეთია, საერთაშორისო სამართალს მათ გასაბრუებლად იყენებს, ვინც სინამდვილეში სცემს პატივს მის პრინციპებს. კისინჯერი გვთავაზობს ისტორიულ მაგალითს, რომელსაც შემაძრწუნებელი შედეგები მოჰყვა. "**1938 წლის სუდეტის კრიზისის დროს, ჰიტლერის მიერ ერის თვითგამორკვევაზე აპელირება "სამართლიანობის" აღდგენის მუდარა გახლდათ და ამიტომაც, წინააღმდეგობის გაწევის მხრივ ყოყმანი გამოიწვია.**"

დღეს, რუსეთის აგრესიის მიმართ დასავლეთის გაუბედაობა მედვედევის მესამე პრინციპით არის გამოწვეული: "**რუსეთს არცერთ ქვეყანასთან დაპირისპირება არ სურს.**" საერთაშორისო სამართალის შესახებ მისი შენიშვნების მსგავსად, ეს განცხადებაც, სავარუდოდ, უწყინარი გახლავთ.

მედვედევი უკვდავყოფს რუსეთის მუდმივი მსხვერპლის როლში ყოფნის მითს - აგრესიის გამოვლენა მას სხვებმა აიძულეს. აგვისტოში საქართველოში შეჭრასთან დაკავშირებით მან განაცხადა: "**ჩვენ არაფერი დაგვრჩენოდა გარდა იმისა, რომ პასუხი გაგვეცა ამ აბსოლუტურად თავხედურ და უტიფარ თავდასხმისთვის.**"

შეჭრის პირველ დღეს, 7 აგვისტოს განვითარებული მოვლენების ქრონოლოგიის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. თუმცა, ძალიან ცოტა ადამიანს თუ ეპარება ეჭვი, რომ რუსეთი ამ თავდასხმას თვეების განმავლობაში გეგმავდა, ეს ოპერაცია ნებისმიერი გონივრული მიზნის არაპროპორციული იყო და ამის გამო, მისი მიზანი, სავარაუდოდ, უფრო ფართო სპექტრს მოიცავდა, ვიდრე "**მოვლენების ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნებას და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის სიცოცხლისა და ღირსების დაცვას**", როგორც მედვედევმა თავხედურად განუცხადა სატელევიზიო ჟურნალისტებს.

მედვედევის მეოთხე და მეხუთე პრინციპები იმ არჩევანის განმარტებები გახლავთ, რომელიც მან და პუტინმა გააკეთეს.

მეოთხე - მედვედევმა განაცხადა, რომ რუსეთი დაიცავს თავის ბიზნესინტერესებს და მოქალაქეებს "**სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი**". განსაკუთრებით საინტერესოა მეხუთე პრინციპი - "**არსებობს რეგიონები, სადაც რუსეთს პრივილეგირებული ინტერესები გააჩნია.**"

საშიში დოქტრინა, რომელმაც რუსული არმია საქართველოში შეიყვანა, გასაგებია. თუმცა, საქართველოში რუსეთის არმიის "წარმატებულობა" ბადებს ეჭვებს, რომ მას მედვედევის დოქტრინის განხორციელების უნარი აქვს.

შესაბამისად, 26 სექტემბერს, მედვედევმა 2020 წლისთვის რუსეთის შეიარაღებული ძალების განახლების ხუთი პრიცნიპი ჩამოაყალიბა. პირველ რიგში, მედვედევმა დონლუზის საცდელ პოლიგონზე შეკრებილ რუს საოლქო მეთაურებს განუცხადა, რომ "**ყველა სამხედრო ფორმირება და შენაერთი მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის რეჟიმში უნდა იმყოფებოდეს.**"

მეორე, სამხედრო მმართველობა უფრო ეფექტური უნდა გახდეს. მესამე, იგივე უნდა მოხდეს წვრთნისა და განათლების სფეროებშიც.

მეოთხე, "**ჩვენ გვჭირდება არმია, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე იარაღით... ამ მხრივ, ფუნდამენტურად ახალ, მაღალტექნოლოგიურ იარაღს განსაკუთრებული როლი ენიჭება,**" - განაცხადა მედვედევმა.

"**დაბოლოს, მინდა შევეხო შეიარაღებული ძალების სოციალურ ასპექტებს, ხელფასებით, საცხოვრებელი პირობებითა და ყოველდღიური ცხოვრებით დაწყებული და სხვა მრავალი საკითხით დამთავრებული,**" - განაცხადა მან. (საქართველოს შეიარაღებული ძალების სენაკის ბაზის კედლებზე რუსი დამპყრობლების მიერ დატოვებული წარწერები ქართველი ჯარისკაცების საუკეთესო საცხოვრებელი პირობებით გამოწვეულ შოკს ასახავდა).

მედვედევმა დაზვერვის, საჰაერო უპირატესობის, ზუსტი დარტყმების, მობილურობის, გემებისა და "ფრთოსანი რაკეტებით" აღჭურვილი მოიერიშე და სტრატეგიული წყალქვეშა ნავების თაობაზე განაგრძო საუბარი.

"**2020 წლისთვის, გარანტირებულად უნდა შეგვეძლოს ბირთვული შეკავების უზრუნველყოფა,**" - თქვა მედვედევმა.

საყურადღებოა, რომ მედვედევი რუსეთის ორენბურგის ოლქში (ყაზახეთის საზღვართან) მდებარე დონლუზის პოლიგონს იმისათვის ეწვია, რათა ყაზახეთთან ერთობლივად ჩატარებული სამხედრო წვრთნების "ცენტრი 2008"-ს დახურვა აღენიშნა. იმის გათვალისწინებით, რომ ყაზახეთი ერთ-ერთი იმ რეგიონთაგანია, სადაც "რუსეთს პრივილეგირებული ინტერესები გააჩნია", "ცენტრი 2008"-ს საწვრთნელი სცენარი გულისხმობდა აგრესორი სახელმწიფოს მცდელობას, ხელში ჩაეგდო ყაზახეთის ენერგეტიკული აქტივები.

"ცენტრი 2008" პროგრამა "სტაბილურობა 2008"-ს შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც, თავის მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩატარებული უდიდესი მასშტაბის სამხედრო წვრთნა გახლავთ. სავარჯიშო სცენარის თანახმად, მიმდინარეობდა რეგიონული ომი, რომელიც ბოლოს აშშ-სთან ბირთვულ ომში გადაიზრდებოდა. ორი კვირის შემდეგ, სამხედრო წვრთნის კულმინაცია წყალქვეშა ნავებზე არსებული და კონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების გაშვებით აღინიშნა.

მედვედევის მესიჯი ნათელია და უმჯობესი იქნება, მას ყურადღება მივაქციოთ.

*დევიდ ჯ.სმიტი არის პოტომაკის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ვაშინგტონი)*
საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი (თბილისი)

# კონტროლის პალატა მნიშვნელოვან ფუნქციებს იძენს

*21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, სახელისუფლებო გუნდმა, პოლიტიკურ ოპონენტებთან კონსულტაციებისას, აიღო ვალდებულება, რომ "კონტროლის პალატის შესახებ" მოქმედი კანონი აუცილებლად გადაისინჯებოდა. კერძოდ, საკანონმდებლო რევიზიის შემდეგ, უნდა გაზრდილიყო ოპოზიციის უფლებები და მისცემოდა მას მეტი ბერკეტები საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზანშეწონილობის გასაკონტროლებლად. მმართველმა ძალამ დანაპირები შეასრულა: პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ და კონტროლის პალატის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე "კონტროლის პალატის შესახებ" კანონის განახლებული ვარიანტი წარმოადგინეს.*

გიორგი ასანიშვილი

კანონპროექტი საკმაოდ ბევრ მნიშვნელოვან ცვლილებას ითვალისწინებს. ჯერ ერთი, იზრდება კონტროლის პალატის უფლებამოსილება სახელმწიფო ორგანოების ფინანსური შემოწმების პროცესში, მეორეც - პრაქტიკულად მთლიანად იხსნება კონტროლის პალატის შეხება კერძო სექტორთან. იზრდება კონტროლის პალატის დამოუკიდებლობის ხარისხიც. ეს ხდება მოქმედი კანონის იმ მუხლების გაუქმების ხარჯზე, რომლითაც პარლამენტის თავმჯდომარეს გააჩნია პიროვნული უფლებამოსილება, განახორციელოს მთელი რიგი ქმედებები კონტროლის პალატაში.

**"ამ შემთხვევაში, მთავარია არა ჩემი, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის, ან თუნდაც სხვა თანამდებობის პირის პიროვნული უფლებმოსილების საკითხი, არამედ პარლამენტისა და კონტროლის პალატის ურთიერთდამოკიდებულებაში სწორი ინსტიტუციური მიდგომის შერჩევა,"** - აცხადებს დავით ბაქრაძე.

იგი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კანონპროექტით ძლიერდება ოპოზიციის მონაწილეობა კონტროლის პალატის საქმიანობაში.

**"ძლიერდება ის როლი, რომელიც ოპოზიციას შეუძლია შეასრულოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლის პროცესში. ამასთან, ოპოზიციას უფლება ეძლევა, მოითხოვოს ამა თუ იმ უწყების შემოწმების განხორციელება,"** - განმარტავს პარლამენტის სპიკერი.

დავით ბაქრაძე მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებებს "პოზიტიურს" უწოდებს და იმედოვნებს, რომ მათი დამტკიცების შემდეგ კონტროლის პალატა ბევრად უფრო დამოუკიდებელი და ეფექტური სტრუქტურა გახდება.

თავის მხრივ, კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი აზუსტებს, რომ ოპოზიციურ ფრაქციებს სასესიო პერიოდში ერთხელ ეძლევათ უფლება, კონტროლის პალატისგან მოითხოვონ არაგეგმიური შემოწმება ნებისმიერ საკითხზე, რომელსაც ისინი საჭიროდ ჩათვლიან.

ბეჟაშვილი მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმასაც, რომ, წარმოდგენილი კანონპროექტით, კონტროლის პალატაში იქმნება დავების განმხილველი საბჭო, რომელიც განიხილავს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა პრეტენზიასა და სარჩელს. კანონპროექტის თანახმად, დავების განმხილველი საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ პარლამენტის წევრებიც და მათ შორის მნიშვნელოვანი კვოტა ოპოზიციონერ დეპუტატებს ექნებათ.

გარდა ამისა, ლევან ბეჟაშვილის თქმით, კონტროლის პალატას ეძლევა მთავრობის საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების მნიშვნელოვანი ბერკეტი. კერძოდ, კონტროლის პალატას ენიჭება უფლებამოსილება, დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, მიმართოს პარლამენტს შესაბამისი სახელმწიფო უწყებისთვის სახსრების პროგრამული ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით, რაც, ბეჟაშვილის თქმით, კონტროლის პალატის დამოუკიდებლობის სერიოზული გარანტი გახდება.

**"ამ საკანონმდებლო ინიციატივის მიღების შემთხვევაში, სერიოზული ინსტიტუციური ცვლილებები გატარდება და მთავრობაზე ზედამხედველი უწყება ჩამოყალიბდება,"** - დასძენს კონტროლის პალატის თავმჯდომარე.

"კონტროლის პალატის შესახებ" კანონპროექტის საკომიტეტო განხილვა პარლამენტში უკვე მიმდინარე კვირიდან დაიწყება.

# საპარლამენტო გამოძიება გრძელდება

ეკა ჯანაშია

*აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე გუშინ ეკონომიკური განვითარების მინისტრი ეკა შარაშიძე, შემდეგ კი პარლამენტის თავმჯდომარე დაიბარეს.*

დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე ეკონომიკის მინისტრს ეკა შარაშიძეს საგარეო დაზვერვის სამსახურის მიერ ეკონომიკის სამინისტროსთვის გაგზავნილი წერილის შესახებ დაუსვეს კითხვები.

აღნიშნული წერილის თაობაზე თავდაპირველად საგარეო დაზვერვის სამსახურის უფროსმა გელა ბეჟუაშვილმა ისაუბრა. მისი თქმით, საგარეო დაზვერვამ ეკონომიკის სამინისტროს მიაწოდა ინფორმაცია, სადაც საუბარი იყო საეჭვო პოტენციურ ინვესტორზე, რომელიც ფულის დაბანდებას საქართველოს ენერგეტიკულ სფეროში აპირებდა.

გუშინდელ სხდომაზე ეკა შარაშიძემ განაცხადა, რომ ეს წერილი მის უწყებას არ მიუღია. მისი შინაარსი მინისტრს უშიშროების საბჭოს წევრებმა გააცნეს. **"კონკრეტული წერილი ჩვენს სამინისტროში არ შემოსულა, მაგრამ, ამ წერილის შინაარსი გამაცნო პრემიერ-მინისტრმა,"** - განაცხადა ეკა შარაშიძემ.

ამ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე პაატა დავითაიამ განაცხადა, რომ საკითხი საკმაოდ სერიოზულია და მისი გამოძიების ინიციატივით გენერალურ პროკურატურას მიმართავს.

შარაშიძის შემდეგ კომისიის წინაშე პარლამენტის თავმჯდომარე წარსდგა.

დავით ბაქრაძემ რუსეთთან ურთიერთობების დეტალებზე ისაუბრა. მისი განცხადებით, საქართველოს რუსეთის ფედერაციისგან არასდროს მიუღია პირობა, რომ ქვეყანა ნატო-ში ინტეგრაციაზე უარის თქმის სანაცვლოდ ტერიტორიული მთლიანობის გარანტიას მიიღებდა.

პარლამენტის თავმჯდომარემ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნისას რუსეთთან ურთიერთობების გამოსწორების უშედეგო მცდელობებზეც ისაუბრა. დავით ბაქრაძის შეფასებით, რუსეთი არ იყო მზად რაიმე თანამშრომლობისთვის საქართველოსთან ისევე, როგორც საქართველო არ არის მზად დათმოს ტერიტორიული მთლიანობა.

ბაქრაძეს პასუხის გაცემა მისი ცნობილი აგვისტოს გამოსვლის შესახებაც მოუხდა. **"ჩვენ 10 აგვისტოს მივიღეთ დადასტურებული ინფორმაცია, რომ რუსეთის არმია, აფხაზ ბოევიკებთან ერთად, ზუგდიდში შევიდოდა. არსებობდა სერიოზული საშიშროება, რომ ისინი დაიწყებდნენ მოსახლეობასთან ანგარიშსწორებას. ვისაუბრეთ პრეზიდენტთან და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მოსახლეობა აუცილებლად უნდა ყოფილიყო ინფორმირებული მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ვთვლი, რომ ეს იყო სწორი გადაწყვეტილება,"** - განაცხადა ბაქრაძემ.

დღეს კომისიის წინაშე რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩი ეროსი კიწმარიშვილი წარსდგება.



# შეწყალებულმა პატიმრებმა საპყრობილეები დატოვეს

*შეწყალებულმა პატიმრებმა გუშინ საპყრობილეების დატოვება დაიწყეს. საქართველოს პრეზიდენტმა შეწყალების აქტს გუშინ, გვიან ღამით მოაწერა ხელი, რის შემდეგაც, შესაბამისი განკარგულებები სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გუშინ შუადღისას შევიდა.*

პატიმართა გათავისუფლებას მათი ახლობლები და ოჯახის წევრები საპატიმროებთან დილიდან ელოდნენ. შეწყალებულმა პატიმრებმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მადლობა გადაუხადეს. როგორც პატიმრები აცხადებენ, მათთვის მოულოდნელი იყო გათავისუფლება.

**"მოულოდნელად ჯოჯოხეთიდან სამოთხეში მოვხვდით,"** - აცხადებდნენ შეწყალებული პატიმრები.

როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, პრეზიდენტის შეწყალებით 144 პატიმარი გათავისუფლდება, 221-ს კი სასჯელი გაუნახევრდება. მათგან 14 ქალია, საიდანაც 8 პატიმრობიდან გათავისუფლდა, 6-ს კი სასჯელი გაუნახევრდა.

სასჯელაღსრულების ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დაწესებულება შეწყალებულმა პატიმარმა ქალებმა გუშინ უკვე დატოვეს.

ოთხი პატიმარი გათავისუფლდა ზუგდიდის N4 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან.

არსებობს ინფორმაცია, რომ უახლოეს მომავალში ზუგდიდის სასჯელაღსრულების დაწესებულებას კიდევ რამდენიმე შეწყალებული პატიმარი დატოვებს.

პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №1 კოლონია 21 შეწყალებულმა პატიმარმა დატოვა.

გუშინვე რუსთავის №2 კოლონიიდან - შვიდი, №6 კოლონიიდან კი 14 პატიმარი გაათავისუფლეს.

რუსთავის №1 კოლონიიდან გამოსული პირველი პატიმარი მარნეულის გამგებლის ყოფილი მოადგილე ელდარ ჭოხონელიძე იყო. იგი სასჯელს ქრთამის აღების ბრალდებით იხდიდა. ჭოხონელიძე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ორი წლის წინ, სამუშაო კაბინეტში დააკავეს.

რაც შეეხება ამნისტიას. მართალია, ამნისტიის შესახებ კანონპროექტი პარლამენტმა გასულ პარასკევს ხმათა უმრავლესობით, მესამე მოსმენით მიიღო, თუმცა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ერთკვირიანი ვადა მიეცა სასამართლოში პატიმართა საქმეების გადასაგზავნად, სასამართლოს კი 2-თვიანი ვადა აქვს, საქმეების მოსამზადებლად - ამნისტიის კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ამნისტიის მოთხოვნით, ქუთაისის N2 საპყრობილეში 41 პატიმარი შიმშილობას აგრძელებს. ისინი დიდი ოდენობით ნარკოტიკების მოხმარება-შენახვის ბრალდებით არიან გასამართლებულები და საქმეების გადახედვას მოითხოვენ, რადგანაც, აცხადებენ, რომ დიდი რაოდენობით ნარკოტიკი მათ დაკავებისას ჩაუდეს.

მოშიმშილეებმა განცხადებით მიმართეს საქართველოს პარლამენტსა და სახალხო დამცველის ოფისს და მოითხოვეს, მოხდეს იმ მუხლის ამნისტირება, რომლითაც მათი გასამართლება მოხდა.

**"ჩვენ მივმართავთ პროტესტის უკიდურეს ფორმას - შიმშილობას და მოვითხოვთ პირადად შეგვხვდეს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გია არსენიშვილი და სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, რათა მოხდეს ჩვენი საქმეების გადახედვა,"** - ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს 52 პატიმარი აწერს, ისინიც, ვინც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ შიმშილობენ.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში ქუთაისის ციხეში პატიმართა შიმშილობის ეს უკვე მეორე შემთხვევაა. თავდაპირველად, შიმშილობა 29 პატიმარმა გამოაცხადა, რომელთაც პროკურატურა ხონის კოლონიიდან გაქცევის ორგანიზებაში ადანაშაულებს.

*საკუთარი ინფორმაცია*

# მოსამართლეთა ფიცი და პრეზიდენტის მიმართვა



*საქართველოს პრეზიდენტმა ახლად დანიშნულ მოსამართლეებს სიტყვით მიმართა*

*გუშინ უზენაეს სასამართლოში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე ექვსმა ახალმა მოსამართლემ ფიცი დადო. გიორგი ებანოიძე, გიორგი არევაძე, ნიკოლოზ მარსაგიშვილი, დიმიტრი გვრიტიშვილი, იოსებ ბაღათურია, გიორგი ტყავაძე - ეს ის ახალი მოსამართლეები არიან, რომლებმაც გუშინ ფიცი ქვეყნის პრეზიდენტის თანდასწრებით დადეს.*

საქართველოში მართლმსაჯულებას სულ 277 მოსამართლე ახორციელებს. გუშინდელი ცერემონიის შემდეგ კი მათი რიცხვი 283 გახდა.

როგორც უზენაეს სასამართლოში აცხადებენ, ქვეყანაში მართლმსაჯულების შეუფერხებლად განხორციელებისთვის, დაახლოებით 300-310 მოსამართლეა საჭირო და

სისტემის სრულად დაკომპლექტება 2010 წლისთვის დასრულდება.

ფიცის დადების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა ახლად დანიშნულ მოსამართლეებს სიტყვით მიმართა. მიხეილ სააკაშვილმა სასამართლო სისტემაში გატარებული რეფორმების მნიშვნელობაზე ისაუბრა. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, სასამართლო წინა წლებთან შედარებით გახდა უფრო მეტად დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე.

მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი უწოდა. პრეზიდენტის განცხადებით, გამჭვირვალობის თვალსაზრისით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ოპოზიციური წარმომადგენლის არჩევაც რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მიხეილ სააკაშვილმა ასევე ისაუბრა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვის შესახებაც. პრეზიდენტის განმარტებით, მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა მათ უფრო მეტად დაცულობის, სტაბილურობისა და ხელშეუხებლობის გარანტიას განუმტკიცებს. პრეზიდენტის აზრით, ჯერჯერობით ყველა ინსტიტუტი საქართველოში ბოლომდე დაცული არ არის და ეს პროცესი აუცილებლად უნდა მივიდეს ბოლომდე. **"საზოგადოებას უნდა ჰქონდეს დაცულობისა და სამართლიანობის განცდა. ამ მიმართულებით კი მნიშვნელოვან ნაბიჯებად ნაფიც მსაჯულთა სისტემაზე გადასვლა, იუსტიციის საბჭოს რეფორმირება და, აგრეთვე, მოსამართლეებისთვის გარანტიების შექმნაა, რაც მათ უვადოდ დანიშვნაში გამოიხატება",** - განაცხადა პრეზიდენტმა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილის განცხადებით, სასამართლო სისტემაში უახლოეს მომავალში დაგეგმილი ძირეული ცვლილებები სერიოზული ნაბიჯი იქნება ამ სისტემის რეფორმირებისთვის.

მისივე თქმით, დეკემბერში საფუძვლიანი და ძირეული ცვლილება შევა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის საფუძველზეც გათანაბრდება პროკურორისა და ადვოკატის უფლებები.

როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ განმარტა, დღეისთვის არსებობს გარკვეული უპირატესობა პროკურორის მხარეს, ხოლო ამ ცვლილებების შემდეგ კანონის დონეზე მოხდება დაცვისა და ბრალდების უფლებების გათანაბრება და ხშირ შემთხვევაში ადვოკატს, შესაძლოა, მეტი უპირატესობაც ჰქონდეს.

კოტე კუბლაშვილის განცხადებით, იანვრიდან უკვე ამოქმედდება სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, ხოლო ნაფიც მსაჯულთა სისტემა ოდნავ მოგვიანებით შევა ძალაში.

*საკუთარი ინფორმაცია*

## საქართველოს მოქალაქეობის მიღება მარტივდება

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება მთავრობას ეკუთვნის და ინიცირება პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მოხდა. კანონპროექტის თანხმად, საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად ქვეყნის ტერიტორიაზე სავალდებულო ცხოვრების ცენზი 10-დან 5 წლამდე მცირდება. ამას გარდა, მარტივდება საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებული პირის საქართველოს მოქალაქედ მიღების პირობები. კანონპროექტის განხილვის პროცედურები პარლამენტში უახლოეს დღეებში დაიწყება. **ინტერპრესნიუსი**

## შსს-ს მომსახურების სააგენტოს ახალი ფუნქციები

შსს-ს მომსახურების სააგენტოს ახალი ფუნქციები დაემატება. ამის შესახებ ცვლილება "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეობის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ" კანონში შედის, რისი ინიციატივაც დეპუტატებს ლაშა თორდიას და კახა ანჯაფარიძეს ეკუთვნით.

კანონპროექტის თანახმად, სააგენტოს ექნება როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული დოკუმენტების გამოყენების უფლება.

ამასთან, დამატებით იქნება შემოღებული ისეთი მომსახურების სახეობები, როგორიცაა იარაღის დროებითი მოწმობის გაცემა, იარაღის ჩამოწერა და იარაღის დადამღვა, დამხმარე ტექნიკური საშუალებების სარეგისტრაციო მოწმობის გაცემა და ცნობის გაცემა მართვის მოწმობის გაცემის შესახებ. კანონპროექტის განხილვა უახლოეს დღეებში დაიწყება. **ინტერპრესნიუსი**

## სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ახალი უფლებამოსილებები

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ახალი უფლებამოსილებები ემატება. უფლებამოსილებები საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო წინდადებაშია გაწერილი, რომლის ინიცირებაც გუშინდელ ბიუროს სხდომაზე მოხდა. კანონპროექტის თანახმად, სამოქალაქო რეესტრს ემატება საქართველოს მოქალაქოების დადგენა, ბინადრობის ნებართვის გაცემა, ემიგრაციის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტა, საქართველოს მოქალაქეობის მიღების, მინიჭების, აღდგენისა და შეწყვეტის საკითხთა განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება. ამავე პროექტის მიხედვით, ბინადრობის ნებართვის მიღებასა და გაგრძელებაზე განცხადების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოში საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარდგენიდან 30 დღეს. **ინტერპრესნიუსი**

## საერთო სასამართლოების მოსამართლეებს ყოველთვიური ანაზღაურება 200 ლარით გაეზრდებათ

ცვლილება "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ" კანონში შედის.

რაც შეეხება მოსამართლეების დღეს არსებულ ანაზღაურებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო 5 450 ლარია; საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის - 4 900 ლარი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის - 4 600 ლარი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის - 4 200 ლარი; სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის - 4 000 ლარი; სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის - 3 100 ლარი; სააპელაციო სასამართლოს პალატის (კოლეგიის) თავმჯდომარის - 2 700 ლარი; სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის - 2 300 ლარი; რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის - 2 300 ლარი; რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარის - 2 200 ლარი; რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის, მაგისტრატი მოსამართლის - 2 100 ლარი; რეზერვში მყოფი მოსამართლის - 500 ლარი. **ინტერპრესნიუსის**

## რიგით მეექვსე საკვალიფიკაციო ტესტირება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ადვოკატთა რიგით მეექვსე საკვალიფიკაციო ტესტირება იმართება, რომელიც 26 ნოემბერს დასრულდება. როგორც ადვოკატთა ასოციაციაში აცხადებენ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია გამოცდას დამოუკიდებლად, უშუალო ორგანიზებით ატარებს შემდეგი თანმიმდევრობით: 24 ნოემბერს - სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, 25 ნოემბერს- სამოქალაქო სპეციალიზაციით, 26 ნოემბერს - საერთო სამართლის სპეციალიზაციით. საგამოცდო რეგისტრაცია დილის ცხრა საათზე იწყება,

ადვოკატთა ტესტირების გავლის მსურველთა რეგისტრაცია 30 სექტემბერს დასრულდა, სულ მიღებულია 1100 განაცხადი. სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით-510 განაცხადი; სისხლის სამართლის სპეციალიზაციით-325; საერთო სპეციალიზაციით-242.

75 ქულის დაგროვების შემთხვევაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ადვოკატთა პირველი ტესტირება 2006 წლის 18-23 მაისს ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA CEELI) მხარდაჭერით გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღო 3400 ადვოკატმა. რომელთაგან 45-მა პროცენტმა შეძლო მიეღო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სერტიფიკატი. ადვოკატთა ტესტირება წელიწადში ორჯერ ტარდება. **ინტერპრესნიუსი**

## ხონის კოლონიიდან გაქცეული ორი პატიმარი დააკავეს

ქუთაისში აგვისტოს მოვლენების დროს ხონის კოლონიიდან გაქცეული კიდევ ორი პატიმარი დააკავეს.

პოლიციაში დაკავებულთა ვინაობას არ ასახელებენ, თუმცა ცნობილია ის, რომ ორივე მათგანს კოლონიიდან გაქცევის ორგანიზატორობის ბრალდებას წაუყენებენ.

ხონის კოლონიიდან აგვისტოს მოვლენების დროს 100-ზე მეტი პატიმარი გაიქცა. მათი უმრავლესობა დაკავებულია. დამატებით სასჯელს სულ 30 პატიმარი მოიხდის. ისინი ბოლო ორი თვის განმავლობაში დააკავეს. სასჯელს შეუმსუბუქებენ 50 პატიმარს, რომლებიც კოლონიაში ნებაყოფლობით დაბრუნდნენ. **ინტერპრესნიუსი**

## ინფორმაცია ავადმყოფი პატიმრის შესახებ

"ადამიანის უფლებათა ცენტრის" განცხადებით, დაავადებული პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ციხეში არსებული გაუსაძლისი პირობების გამო, კიდევ უფრო გაუარესდა. როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, პატიმარი გ. ს. ბათუმის N3 საპყრობილეში 2007 წლის დეკემბრიდან იმყოფება. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, განსასჯელის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. ორგანიზაციის ცნობით, მიუხედავად ამისა, არც ბათუმის საქალაქო სასამართლომ და არც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არ გაითვალისწინა პატიმრის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა. იურისტ პაატა ბოლქვაძის განცხადებით, საპყრობილეში არსებული გაუსაძლისი პირობების გამო პატიმრის ჯანმრთველობის მდგომარეობა უფრო და უფრო რთულდება. მისი თქმით, "არსებობს 2003 წლის 27 მარტის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანება იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალის დამკიცების შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ სასჯელის მოხდისგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველს. გ. ს.-ს 9 წლით პატიმრობა აქვს მისჯილი. **ინტერპრესნიუსი**

## ვიზიტი გერმანიაში

იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია, მინისტრის მოადგილის მაია კოპალეიშვილის ხელმძღვანელობით, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) მიწვევით, გერმანიაში გაემგზავრა.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ვიზიტი მიზნად ისახავს გერმანული სააღსრულებო სისტემისა და აღმასრულებელთა მუშაობის გაცნობას.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე გიორგი ობგაიძე, მისი მოადგილე ლაშა მაღრაძე, თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსი დავით ერისთავი, კახეთის სააღსრულებო ბიუროს უფროსი ბადრი დანაჭრელაშვილი და იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მურთაზ ზოდელავა.

დაგეგმილია შეხვედრები ბრემენის პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარე რუდიგერ ტონისთან, სასამართლოს აპარატის უფროს ჰაინც-იურგენ ნაგელთან და იუსტიციის მოხელე ჰერმუტ არენსთან. "საქართველოს სასამართლოსა და სასამართლო სისტემის მხარდაჭერის" პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ვიზიტი 29 ნოემბრამდე გაგრძელდება. **ინტერპრესნიუსი**

## ქალთა წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის აღმოფხვრის დღე

25 ნოემბერი ქალთა წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის აღმოფხვრის დღეა.

როგორც პროფესიული კავშირების გაერთიანებაში აცხადებენ, მათი გაერთიანების ქალთა ქსელი 25 ნოემბერს ქალთა უფლებების დაცვის მოთხოვნით, აქციას პარლამენტის შენობასთან გამართავს. აქციის ერთ-ერთი მოთხოვნა პროფესიული კავშირების გაერთიანების წევრი ქალბატონების ქალ პარლამენტარებთან შეხვედრა და დასაქმებულ ქალთა პრობლემების განხილვა იქნება. გაერო-ს მიერ დაწესებულ დღეს საქართველო მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანასთან ერთად აღნიშნავს. აქციაზე ქალები რამდენიმე მოთხოვნას წამოაყენებენ, მათ შორის დედათა უფლებების დასაცავად. კერძოდ, ორსულობისა და მშობიარობის დროს შვებულების მიღების, დეკრეტული შვებულების სრულყოფილად და გარანტირებულად ანაზღაურების, დეკრეტული შვებულების დროს სამუშაოს დაკარგვისა და გათავისუფლებისგან დაცვის, სამედიცინო მკურნალობისა თუ ბავშვის ძუძუთი კვების პერიოდში მობილური სამუშაო გრაფიკით სარგებლობის საკითხებზე. **ინტერპრესნიუსი**

## ხანძარს ხუთი თვის ჩვილი ემსხვერპლა

ქუთაისში, არხის ქუჩაზე გაჩენილ ხანძარს 5 თვის ჩვილი რახმან ამინასტანოვიჩი ემსხვერპლა. არხის ქუჩაზე ბარაკული ტიპის დასახლებაში რამდენიმე აზერბაიჯანული ოჯახი ცხოვრობს. ხანძრის შედეგად ერთ-ერთი ბარაკი მთლიანად დაიწვა, სადაც 5 თვის ჩვილი მარტო იმყოფებოდა. ბავშვის დედა მაღაზიაში იყო წასული, ოჯახის სხვა წევრები კი ქუჩაში ლუკმაპურის საშოვნელად იყვნენ გასულები. დაღუპულის მამის თქმით, ხანძრის მიზეზი ოთახში დადგმული შეშის ღუმელი გახდა. ამინასტანოვიჩის ოჯახი დროებით მეზობლებმა შეიფარეს. **ინტერპრესნიუსი**

# საზოგადოების შეკვეთა

## "ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ არსებობს მაღალი ხარისხის სოციალური მოთხოვნა"

*გაერო-ს განვითარების პროგრამამ "სასამართლოს ხელისუფლების მხარდაჭერის" პროექტის ფარგლებში "ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების" თაობაზე კვლევა ჩაატარა. გამოკვლევა ჩატარდა თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისსა და თელავში. გამოიკითხა 1500 რესპოდენტი.*




კვლევის ძირითადი შედეგი ასეთია - ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების მიმართ არსებობს მაღალი ხარისხის სოციალური მოთხოვნა. საზოგადოება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსგან ელის ობიექტურობასა და სამართლიანობას.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა უმეტესობას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის თაობაზე ზოგადი ინფორმაცია აქვს. როგორც კვლევის ავტორები ასკვნიან, ინფორმაციის ძირითად წყაროს ტელევიზია, მხატვრული ფილმები და მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენს. შესაბამისად, ინფორმაციის შინაარსი ხშირ შემთხვევაში, კონკრეტულ ცოდნას მოკლებულია.

გამოიკვეთა რესპოდენტთა დამოკიდებულება საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების მიმართ - დამოკიდებულება დადებითია.

აღსანიშნავია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისადმი მკვეთრად დადებითად არიან განწყობილი ორი სოციალური ფენის წარმომადგენლები - უკიდურესად ღარიბები და მდიდრები.

საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე და საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახების დამოკიდებულება შედარებით ნეიტრალურია.

აღმოჩნდა, რომ უკიდურესად ღარიბს "დასაკარგი" არაფერი აქვს, სიახლე კი ყოველთვის პოტენციური შანსების შემცველია.

საშუალო შეძლების მქონეს გააჩნია არსებულის დაკარგვის შიში, მაგრამ არ გააჩნია განსაკუთრებული სიფრთხილის მოტივაცია.

გამოკვლევის ავტორთა აზრით, ერთი შეხედვით, ალოგიკურია საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონეთა პოზიცია. მათი რადიკალურად დადებითი დამოკიდებულება სიახლეებისადმი, არსებული სიტუაციის მიმართ უნდობლობით ან იმით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ საკუთარი მდგომარეობის დასაცავად რაც შეიძლება მყარ გარანტიებზე არიან ორიენტირებული და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სწორედ ერთ-ერთ ასეთ გარანტად ესახებათ.

**"ზოგადი განწყობა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ უფრო დადებითია, ვიდრე მოლოდინი ჩვენს ქვეყანაში ამ ინსტიტუტის წარმატებული ფუნქციონირების შესახებ.**

**რესპონდენტთა უმრავლესობა - 74.8 პროცენტი აცნობიერებს, რომ სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს კონტროლისაგან, მაგრამ დაახლოებით 25 პროცენტი (დაახლოებით ყოველი მეოთხე გამოკითხული) მიიჩნევს, რომ მისი კონტროლი აუცილებელია,"** - მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ასკვნიან კვლევის ავტორები.

აღსანიშნავია, რომ დაფიქსირდა განსხვავება გამოკითხულ რეგიონებს შორისაც: საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების მიზანშეწონილობა ყველაზე მაღალი მაჩვენებლით შეფასდა ქუთაისში, მას მოსდევს ზუგდიდი, შემდეგ თელავი, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლი თბილისშია. **"კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება მკვეთრად დადებითია. საზოგადოება მიმდინარე რეფორმისთვის მზადაა და მიიჩნევენ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას საზოგადოების არასამართლებრივი მენტალიტეტი ხელს არ შეუშლის,"** - ასეთია კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები

*გუდაურში მოსამართლეების, ჟურნალისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით სემინარი გაიმართა, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს და ეფექტური კომუნიკაციის საკითხებს მიეძღვნა.*



*მოსამართლეების, ჟურნალისტებისა და არასამათავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით სემინარი გაიმართა.*

სემინარი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა გახსნა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით, სწორედ ამგვარი სემინარები უწყობს ხელს სასამართლო ხელისუფლების კიდევ უფრო მეტ გამჭვირვალობას, სპიკერ-მოსამართლეებს, ჟურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებას და, საბოლოო ჯამში, სასამართლოსა და საზოგადოებას შორის ეფექტური კომუნიკაციის განხორციელებას.

სემინარში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ინსტანციის სპიკერ-მოსამართლეები, მედიის, სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციების - "კონსტიტუციის 42-ე მუხლი", "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", "კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის" წარმომადგენლები.

სამი დღის მანძილზე სემინარის მონაწილეებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების დაცვა გაერო-სა და ევროსაბჭოს ფარგლებში, ჟურნალისტთა უფლებები და ვალდებულებები შეიარაღებულ კონფლიქტებსა და საგანგებო მდგომარეობებში, მოსამართლის როლი სასამართლო ხელისუფლების პოპულარიზაციაში და ამ მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები, სასამართლოს იმიჯის ფორმირება და მედიის პასუხისმგებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების გაშუქებისას, მოსამართლის მონაწილეობა საზოგადოებრივ დისკუსიაში და შეზღუდვები, მედია სარჩელები, სასამართლოს მხრიდან რეაგირება მედიისა და მესამე სექტორის კრიტიკაზე.

ყურადღება განსაკუთრებულად გამახვილდა საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომელიც უკავშირდება საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედებას. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ზაზა მეიშვილმა სემინარის მონაწილეებს გააცნო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები. მანვე უხელმძღვანელა ჟურნალისტების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების და სპიკერ-მოსამართლეების ერთობლივი მონაწილეობით გამართულ იმიტირებულ სასამართლო პროცესს.

სემინარის ბოლოს ჟურნალისტებმა და სპიკერ-მოსამართლეებმა ბოლო სამი წლის მანძილზე ანალოგიური ფორმატით ჩატარებული სემინარები შეაჯამეს. მათი განცხადებით, სემინარები ძალიან საინტერესო და ამასთან ეფექტური იყო, სწორედ ამგვარი შეხვედრების შემდეგ მოხდა სასამართლოსა და მედიის კიდევ უფრო მეტი დაახლოება, მართლმსაჯულების გამჭვირვალობის გაუმჯობესება და სასამართლო პროცესების გაშუქების თვალსაზრისით მედიის პროფესიული სტანდარტის ამაღლება.

მედიის წარმომადგენლების მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ სასამართლომ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს რეგიონულ მედიას და საინფორმაციო შინაარსის ბრიფინგები დასავლეთ საქართველოშიც გაიმართოს.

ტრენინგი "სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერის" პროექტის ფარგლებში გაიმართა, რომელსაც ახორციელებს საქართველოს უზენაესი სასამართლო და გაერო-ს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP).

*საკუთარი ინფორმაცია*

# ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს რუსეთი და მიანმა იყენებენ

ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები საერთაშორისო ასპარეზზე ზოგადი ქცევის წესების დაუმორჩილებლობის გამო რუსეთსა და მიანმას აკრიტიკებენ. **"ამჟამად ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს მხოლოდ ორი სახელმწიფო - რუსეთი და მიანმა იყენებენ, რომლებიც არ არიან ოტავას კონვენციის მონაწილეები,"** - აღნიშნულია ხუთი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ახალ ანგარიშში ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების შესახებ.

ანგარიშის თანახმად, ამ ტიპის იარაღს იყენებენ ასევე ზოგიერთი აჯანყებული დაჯგუფებები და არასამთავრობო სუბიექტები მსოფლიოს ცხრა ქვეყანაში.

ოტავას კონვენცია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების შესახებ 1997 წელს მიიღეს, ხოლო ძალაში შევიდა ორი წლის შემდეგ. დღემდე მსოფლიოს მაშტაბით განადგურდა 42 მლნ ერთეული ნაღმი. პრაქტიკულად, შეწყდა მათი წარმოება, გაყიდვა, გადაცემა და გამოყენება.

ანგარიშის ავტორები აღნიშნავენ, რომ მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა ანადგურებს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს იმ ვადებში, რომლებიც ოტავას კონვენციითაა გათვალისწინებული. 2008 წელს ეს ვალდებულება არ შეუსრულებიათ საბერძნეთს, თურქეთსა და ბელარუსს.



**"მიმდინარე წლის 1 მარტამდე თურქეთსა და საბერძნეთს ასეთი იარაღის სხვადასხვა ტიპის 4.2 მლნ ერთეული, ხოლო ბელარუსს - 3.4 მლნ ერთეული უნდა გაენადგურებინათ. ამ სახელმწიფოთაგან ეს ვალდებულება არც ერთს არ შეუსრულებია,"** - ნათქვამია ანგარიშში. **"2007 წელს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს 5 426 ადამიანი ემსხვერპლა, მათი უმრავლესობა სამოქალაქო პირია,"** - იუწყება გაერო-ს ახალი ამბების სამსახური.

ოტავას კონვენციას უკეთესი პერსპექტივა არც 2009 წლისთვის ელის. გაერო-ს ახალი ამბების სამსახურის ცნობებით, კონვენციის სხვა 15 მონაწილე სახელმწიფომ, რომლებსაც ასეთი ტიპის იარაღის მარაგი მომავალი წლის მარტისთვის უნდა გაენადგურებინათ, დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად ვადის გაგრძელება ითხოვეს.

# "მოსადის" აგენტურა ირანულ დაზვერვაში

ირანის ხელისუფლებამ 24 ნოემბერს "ისრაელის ჯაშუშების" მორიგი დაპატიმრების შესახებ გაავრცელა ცნობები. მათი მონაცემებით, ამჯერად ჯაშუშური ქსელის გამოაშკარავება ისლამური რევოლუციის გუშაგთა საბჭოს - ისლამური რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ელიტური ნაწილის დაზვერვის განყოფილებამ შეძლო.

**"გამოაშკარავებული საჯაშუშო ქსელი ისრაელის დაზვერვა "მოსადზე" მუშაობდა და ირანის ბირთვულ პროგრამაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი ცნობების შეგროვება მოასწრო,"** - განუცხადა ისლამური რევოლუციის გუშაგთა საბჭოს ხელმძღვანელმა, გენერალმა მოჰამად ალი ჯააფარიმ ირანულ მასმედიას.

მისი თქმით, ჯაშუშთა ქსელის ყველა წევრი დაკავებულია და მათ უკვე აღიარეს, რომ გადიოდნენ ისრაელში მომზადებას დივერსიული საქმიანობის განსახორციელებლად. გენერალმა ისიც აღნიშნა, რომ ოპერაციის მსვლელობისას ირანულმა სპეცსამსახურებმა შეძლეს "თანამედროვე საჯაშუშო აღჭურვილობისა და კომუნიკაციის იმ საშუალებების ხელში ჩაგდება, რასაც "მოსადი" იყენებს".

ჯაშუშთა დაკავების შესახებ ზემოაღნიშნული ცნობები პირველი არ არის, ცოტა ხნის წინ ირანის ხელისუფლებამ ალი აშთარი ისრაელის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ცნო დამნაშავედ და მას სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა.

ალი აშთარი ასევე დამნაშავედ ცნეს სხვა მოტივითაც, კერძოდ, იმ კომპანიის მფლობელის ამპლუაში, რომელიც ელექტრონიკისა და კომუნიკაციების საშუალებების იმპორტს ეწეოდა, შეიტანა "ვირუსები" ირანის სპეცსამსახურების საიდუმლო კავშირგაბმულობის სისტემაში. გამოძიების ვერსიით, აშთარი "მოსადის" დავალებით მოქმედებდა და მას "საბოტაჟისთვის" ისრაელის სპეცსამსახურებმა შვეიცარიაში 50 ათასი აშშ დოლარი გადაუხადეს. ისრაელის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდების გამო ჩამოხრჩობით დასჯა ბოლო ათი წლის განმავლობაში ირანში პირველი შემთხვევაა.


## აკად. კ.ვ. ჩაჩავას სახელობის ინსტიტუტში, ფარმაცევტული კომპანია ,,ჯი პი სი"-ს თანადგომით, გაიხსნა იმუნიზაციის ულტრათანამედროვე კაბინეტი!

ვაქცინაცია მედიცინის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა. იმუნიზაცია და ვაქცინაცია წარმოადგენს პროფილაქტიკურ (პრევენციულ) ღონისძიებათა სისტემას. ვაქცინაციის შედეგად იზრდება ადამიანის გამძლეობა ინფექციური დაავადებების მიმართ. ვაქცინაციისა და რე-ვაქცინაციის საშუალებით შესაძლებელია ადამიანმა თავიდან აიცილოს მრავალი საშიში დაავადება.

დაბადებისას, ბავშვს ზოგიერთი ინფექციური დაავადებების მიმართ იმუნიტეტი აქვს, რასაც განაპირობებს პლაცენტის გზით დედისაგან მიღებული ატისხეულები. ძუძუთი კვებისას ახალშობილი დედის რძის მეშვეობით დამატებით იღებს ანტისხეულების ახალ ულუფას. ასეთი პასიური იმუნიტეტი დროებითია და ჩვილის ზრდასთან ერთად ქრება, სწორედ ამიტომ რეკომენდებულია ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო აცრები შემდგომშიც გაგრძელდეს.

ვაქცინაციის მიმართ შიში უსაფუძვლოა, ვინაიდან ინფექციური დაავადებით ავად გახდომის რისკი გაცილებით მაღალია ვაქცინაციის შემდგომი გართულების წარმოშობის რისკთან შედარებით.

დაავადების და მისი გართულებების მკურნალობა გაცილებით ძვირია, ვიდრე ვაქცინაცია.

ჩაჩავას სახ. ინსტიტუტის უახლესი სტანდარტის იმუნიზაციის კაბინეტი და ევროპული წარმოების ვაქცინები, მაღალი ხარისხის, უსაფრთხო სამედიცინო მომსახურება და საუკეთესო პირობები ამცირებს ვაქცინაციასთან დაკავშირებულ დისკომფორტსა და არასასურველი გვერთი მოვლენების წარმოშობის რისკს.

ჩაჩავას სახ. ინსტიტუტში ჩატარებული ვაქცინაციით შესაძლებელია თავიდან აიცილოთ ისეთი საშიში და სახიფათო დაავადებები, როგორიცაა:

**ტუბერკულოზი, დიფტერია, ყივანახველა, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ჰეპატიტი "B", წითელა, წითურა, ყბაყურა, გრიპი და სხვ.**

გარდა ზემო ჩამოთვლილი აცრებისა, ჩაჩავას სახ. ინსტიტუტის იმუნიზაციის კაბინეტში ტარდება ***ადამიანის პაპილომა-ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია***, რომელიც მსოფლიოში ერთადერთი ყველაზე სანდო საშუალებაა ვულვის (გარეთა სასქესო ორგანოები), საშოს და საშვილოსნოს ონკოლოგიური დაავადებების თავიდან ასაცილებლად.

ჩაჩავას სახელობის ინსტიტუტის იმუნიზაციის კაბინეტში შესაძლებელია პროფილაქტიკის ჩატარება ვიტამინი **K — ს (კავიტი)** წვეთებით.
კავიტი გამოიყენება:

**ჰემორაგიული დაავადებების პროფილაქტიკისთვის** ყველა ახალშობილში.
ჩაჩავას სახელობის ინსტიტუტში აცრები ტარდება ვაქცინაციის კაბინეტში, მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ, ექიმის ზედამხედველობით.

აცრები ტარდება მხოლოდ ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში დამზადებული ვაქცინებით.
**კაბინეტს ვაქცინებით ამარაგებს ფარმაცევტული კომპანია ,,ჯი პი სი".**
თითოეულ ვაქცინას გააჩნია მწარმოებელი ქვეყნის სერტიფიკატი და ხარისხის სერტიფიკატი.

აცრები ტარდება ერთჯერად შპრიცში მოთავსებული ვაქცინით, ეგრეთწოდებული შპრიც-დოზებით, რომელიც პაციენტის თანდასწრებით იხსნება.
ვაქცინები ინახება სპეციალურ მაცივარში, სათანადო პირობების დაცვით.
ვაქცინაციის კაბინეტის სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია, სანიტარული რეჟიმი, წესრიგი და კომფორტი უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას უზრუნველყოფს!
გაუფრთხილდით თქვენს საკუთარ თავსა და თქვენი შვილების ჯანმრთელობას!








# მოქნილი ანაბარი ბანკ "რესპუბლიკაში"

დანაზოგის განთავსების მოქნილი პირობები

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

# ანაბარზე თანხის შეტანა გსურთ, მაგრამ შესაძლოა გარკვეული ნაწილის გამოტანა ნებისმიერ დროს დაგჭირდეთ?

მოქნილი ანაბარი გაძლევთ საშუალებას, სურვილის შემთხვევაში გამოიტანოთ ანაბრის თანხის 30%-მდე და თან არ შეგიმცირდეთ საპროცენტო სარგებელი დანარჩენ 70%-ზე.

ამასთანავე, სარგებელს გამოყენებულ 30%-ზეც მიიღებთ!

## საპროცენტო სარგებელი

ანაბრის ხელუხლებელ ნაწილზე: 12.5%-მდე

ანაბრის გამოყენებულ ნაწილზე: 3%-მდე

**მოქნილი ანაბრის გასახსნელად ეწვიეთ ჩვენს ნებისმიერ ფილიალს:**

### თბილისის ფილიალების ქსელი

| | | |
|---|---|---|
| სათავო ოფისი | გრ. აბაშიძის ქ. 2 | 925555 |
| ცენტრალური ფილიალი | გრ. აბაშიძის ქ. 2 | 925555 |
| დელისის ფილიალი | ალ. ყაზბეგის გამზ. 47 | 312161 |
| სადგურის ფილიალი | რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია | 910600 |
| დიდუბის ფილიალი | წერეთლის გამზ. 10 | 345556 |
| პეკინის ფილიალი | პეკინის გამზ. 28 | 433355 |
| გლდანის ფილიალი | ხიზანიშვილის ქ. 20 | 590550 |
| ისნის ფილიალი | ნავთლუღის ქ. 6/2 | 243737 |
| ფალიაშვილის ფილიალი | ფალიაშვილის ქ. 33ა | 912237 |
| ჭავჭავაძის 24 საათიანი ფილიალი | ჭავჭავაძის გამზ. 13 | 925555 |
| აღმაშენებლის ფილიალი | აღმაშენებლის გამზ. 112 | 243585 |
| ვაჟა - ფშაველას ფილიალი | ვაჟა - ფშაველას გამზ. 71 | 244114 |

### რეგიონების ფილიალების ქსელი

| | | |
|---|---|---|
| ქუთაისის ფილიალი | გრიშაშვილის ქ. 6 | 8(231) 58888 |
| ბათუმის ფილიალი | ქუთაისის ქ. 6 | (888 222) 32810 |
| **ბათუმის 24 საათიანი ფილიალი** | გოგებაშვილის ქ.24 | (888 222) 759 26 |
| სამტრედიის ფილიალი | რაზმაძის ქ. 2 | 8 (211) 21353 |
| ზუგდიდის ფილიალი | ზვ. გამსახურდიას გამზ. 34 | 8 (215) 50008 |
| რუსთავის ფილიალი | მეგობრობის გამზ. 20 | 8 (24) 12 55 55 |
| ფოთის ფილიალი | აღმაშენებლის ქ. 50 | 8 (293) 7 00 87 |
| თელავის ფილიალი | მარჯანიშვილის ქ. 4 | 8 (250) 70040 |
| სიღნაღის ფილიალი | თამარ მეფის ქ. 1 | 8 (255) 31037 |

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში: (8 22) 92 55 55

www.republic.ge

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

# დაგვიანებული შეხვედრა

## მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრში თეატრალური სეზონი გახსნეს

სოფო კილასონია

როგორც იქნა თუმანიშვილის თეატრი გაცოცხლდა, თეატრალური სეზონი გაიხსნა. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის ახალმა მინისტრმა გაწელილი პროცესი, რომელსაც პირობითად შეიძლება თუმანიშვილის თეატრის ხელმძღვანელის პოსტისთვის ატეხილი დავა ვუწოდოთ, დაახლოებით ორ დღეში დაასრულა. ლეგენდები და ოდები იმის შესახებ, თუ ვინ ვის რას ედავებოდა და ვის ვისთვის ემეტებოდა თეატრის მმართველისა და სამხატვრო ხელმძღვანელის სტატუსი, წარსულს ჩაბარდა, წარსულშია მითქმა-მოთქმა და ღიმილის მომგვრელი საუბრებიც. საბედნიეროდ ასეა...



ეს გახლდათ თემა, რომელსაც ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან არ შევხმიანებივართ. იმიტომ არა რომ თუმანიშვილის სახელობის თეატრი საინტერესო არ გახლდათ ჩვენთვის. უბრალოდ, არსებობს საკითხები, რომლებიც კონკრეტულ დროსა და ვითარებაში უკვე ნაკლებად ეთიკურად და ხშირად ძალიან მომაბეზრებლად გამოიყურება. კიდევ ერთი ამბავი ქართველების კინკლაობის შესახებ ამ ეტაპზე დასრულებულია. როგორიც არ უნდა იყოს ამ დასასრულს მიღებული გადაწყვეტილებისადმი საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის დამოკიდებულება, ალბათ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც რაციონალური საწყისებით ხელმძღვანელობს, დამეთანხმება, რომ უძრაობას რომელიც ამ თეატრში სუფევდა, ენერგიული და მუდამ აქტიური ხელმძღვანელის მმართველობის დროს სავარაუდოდ ბოლო მოეღება. ხარისხზე, გემოვნების კრიტერიუმებზე, სარეპერტუარო პოლიტიკასა და სხვა მსგავს საკითხებზე მოგვიანებით და ეტაპობრივად ვისაუბრებთ. მაშინ, როცა თეატრი სრულფასოვან მუშაობას შეუდგება. ამისთვის თეატრის დასს და მის ხელმძღვანელობას ერთი წამახალისებელი ფაქტორი უკვე აქვს, მათ დაპირდნენ რომ 2009 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან დააფინანსებენ. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ამბობენ დღეს თეატრში ერთი სრულფასოვანი კომპიუტერიც არ დგას, გადასახადები გადაუხდელია და თითქმის მთელი სისტემა მოშლილი, ჩვენც უნდა ვიწამოთ, რომ თეატრი, რომელიც 30 წლის წინ შეიქმნა და თავად მისი დაარსება უკვე გახლდათ დიდი მიღწევა, ამ მორიგ სირთულეებსაც დაძლევს, თუ რა თქმა უნდა, მუშაობას შეუდგებიან.



თეატრის ახალმა სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა ქეთი დოლიძემ თეატრალური სეზონი გახსნა სპექტაკლით "ბაკულას ღორები" და რადგანაც 22 ნოემბრისთვის თუმანიშვილისეულ დადგმაში გარკვეული ცვლილებები შეიტანა, შემოგვთავაზა როგორც - **ვთამაშობთ "ბაკულას ღორებს".** ცვლილებები არ შეუტანიათ კარდინალური, თეატრის დაარსებიდან 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით ამ ცნობილმა დადგმამ მხოლოდ ერთი დღით ყველა შემსრულებელს მოუყარა თავი და სცენაზე ძალიან საინტერესოდ გამეორდა კლდიაშვილისეული არაერთი გმირი, თუმანიშვილის დადგმის მთავარი პერსონაჟი. ერთდროულად იდგნენ - ორი შაშა, ორი პორფირი, ორი ზენათი, ორი პეპელა და ორი პიტია. ამ გაორებამ დადგმაში არაერთი ისეთი დეტალი შეიტანა, რამაც მაყურებელი ერთიორად გაახალისა.

მთლიანობაში კი ყველასთვის ზედმიწევნით ნაცნობი სცენები და ეპიზოდები მოულოდნელი შტრიხებით შეფერადდა და შესაბამისად დადგმა არა უბრალოდ ნაცნობი და ჩვეულებისამებრ საყვარელი აღმოჩნდა, არამედ საინტერესოც. სცენიდან სცენამდე მოუთმენლად ველოდით, როგორ "მორიგდებოდა" ორი შაშა და ორი პორფირი ერთ სცენაზე და ერთი დიალოგის ან მონოლოგის ფარგლებში.



მზია საგანელიძის ფოტოები

მაგრამ მორიგდნენ ისე, რომ არაფერი ზედმეტი და არაფერი ხელისშემშლელი არ ყოფილა მაყურებლისთვის. იმ მაყურებლისთვის, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ "ბაკულას ღორების" ექსპერტი. ეს მორიგება კი იოლად აღსაქმელი იმიტომ აღმოჩნდა რომ სცენაზე ძალიან კარგი მსახიობები იდგნენ და კიდევ იმიტომ, რომ სცენები "გაორებული" გმირებით ოსტატურად გახლდათ გადაწყვეტილი.

შაბათს საღამოს სხვადასხვა თეატრების მსახიობები, თუმანიშვილის კურსდამთავრებულები, ძირითადად სახელოვნებო საზოგადოება თუმანიშვილის მსახიობებს ახალი თეატრალური სეზონის გახსნას ულოცავდნენ. მაგრამ მილოცვისა და სეზონის გახსნის აღნიშვნის გარდა, იქ მყოფნი კიდევ ბევრ რამეზე დავფიქრდით. იმაზე, რომ ამ თეატრში არის რამდენიმე ისეთი რანგის მსახიობი, რომელთა მისამართით არა თუ კრიტიკის, არამედ შეფასების მცდელობაც უკვე უადგილოა, სასაცილოცაა. ისინი არიან ოსტატები, რომლებსაც დღეს საკუთარ საქმეში არ გააჩნიათ არავითარი დაბრკოლება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მათ - ნინელი ჭანკვეტაძეს, ზურაბ ყიფშიძეს, რამაზ იოსელიანს, გიორგი პიპინაშვილს... სჭირდებათ რეჟისორი, რომელსაც შესწევს ძალა და ნიჭი იმისა, რომ მათი შესაძლებლობები სრულად და იქნებ ახლებურადაც წარმოჩინდეს. ისინიც და ჩვენც, მაყურებელი ამ რეჟისორს ველით. ის შეიძლება ცნობადი იყოს, შეიძლება არა. მაგრამ ეს მოლოდინი დიდ ინტერესს მაინც აღძრავს.

რა შეიძლება ითქვას კიდევ. ალბათ ის, რომ ყველა მსახიობმა, რომელიც იმ საღამოს სცენაზე იდგა თავისი ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არა მხოლოდ იმ დღეს, არამედ ბოლო წლებში, უმრავლესობა მათგანმა ამ თეატრს და მიხეილ თუმანიშვილის პრინციპებს უერთგულა სრული 30 წლის განმავლობაში. იმისთვის, რომ თეატრი ნაწილობრივ მაინც შეენარჩუნებინათ ისეთ თეატრად როგორიც თავიდან იყო ჩაფიქრებული და რომ ის არ ქცეულიყო კომერციულ, პაპსა წარმოდგენების მწარმოებელ ორგანიზმად. ამისთვის ცხადია რომ ასევე ბევრი იმუშავეს უკვე ყოფილმა ხელმძღვანელებმა, განსაკუთრებით გიორგი მარგველაშვილმა, რომელიც თეატრში კიდევ ალბათ არაერთ დადგმას განახორციელებს როგორც რეჟისორი.

შაბათს გავაკეთეთ დასკვნა, რომელიც ალბათ უმრავლესობისთვის ისედაც ცნობილი გახლდათ, მაგრამ ჩვენ ისევ მოვიგონეთ, ის რომ მიხეილ თუმანიშვილმა ამ თეატრში ძალიან ბევრი ერთმანეთისგან გამორჩეული პერსონა ჯერ აღზარდა, შემდეგ ამ სცენაზე და ამ სცენისთვის დატოვა. ეს თეატრი ხომ წარმოუდგენელი იქნებოდა როგორც ზემოთ უკვე ხსენებულთა, ისე დარეჯან ჯოჯუას, რუსუდან ბოლქვაძის, ზაზა მიქაშავიძის, მზია არაბულის, გია აბესალაშვილის და კიდევ რამდენიმე ძალიან კარგი მსახიობის გარეშე.

მრავალფეროვნება ტიპაჟების, ხასიათებისა და პროფესიული ღირსებების თვალსაზრისით რომელსაც ამ თეატრის დასი ფლობს, მგონი, ქართული თანამედროვე თეატრისთვის ყველაზე დიდი ღირსებაა. ამ ღირსებას დასი და თეატრი განსაკუთრებულად უნდა გაუფრთხილდეს.

მსახიობთა სახელებს დარბაზიდანაც სკანდირებდნენ. ეს უკვე მაშინ, როცა სპექტაკლი დასრულდა. მართალია, წარმოდგენის შემდეგ სცენაზე გარკვეული იუმორისტული ტექსტები წაიკითხეს თანაც სხვადასხვა ენაზე და ამ ნაწილში სცენაზე მყოფებს ბოლომდე ვერ მივუხვდით და ყველაფერი ოდნავ მოჭარბებული ფამილარულობით ხასიათდებოდა, მაგრამ სპექტაკლმა იმდენად დიდი სიამოვნება მოგვანიჭა მაყურებელს, რომ თეატრიდან უცნაურად დაიმედებულები წამოვედით. ასეთი იმედები კარგა ხანია თეატრიდან წამოსულს არ გამომყოლია. ამ იმედებს ის ამყარებს, რომ თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ამიერიდან არაერთ პრემიერას და უცხოელი დასების სტუმრობას დაგვპირდა.

# 154 ქულა "ბზიკებს"

## საბავშვო "ევროვიზიის" გამარჯვებული მომღერლები სამშობლოში დაბრუნდნენ

ია ვეკუა

ისინი ჯერ 10 წლისები არიან, მაგრამ მათ შესახებ რამდენიმე დღეა მთელი ევროპა ლაპარაკობს. საბავშვო "ევროვიზიის" ყველაზე პატარა მონაწილეებმა, ქართველმა "ბზიკებმა" თავიანთი ბზუილით სრულიად ევროპა გააბრუეს და კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ. "ბზიკები" უკვე სამშობლოში არიან და პირველ მილოცვებს და საჩუქრებს იღებენ - მადლობას კი ბზუილით იხდიან: "ბზაა-ბზა-ბზაააროო"...



სწორედ ასეთი ტექსტი აქვს "ბზიკების" კომპოზიციას, რომლის კონკრეტული ჟანრისთვის მიკუთვნება ძნელია - რეპიცაა, ფოლკლორის ელემენტებსაც შეიცავს და სასწავლად და აღსაქმელადაც საკმაოდ ძნელია. თუმცა პატარა მომღერლებმა ეს ბარიერი მაინც გადალახეს და რთული ტექსტითა და მელოდიით შეკრული სიმღერა უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე მცირე ხარვეზით, თუმცა მაინც ყოჩაღად შეასრულეს.

"ევროვიზია" (დიდებისაც და საბავშვოც) სწორედ ის კონკურსია, რომელიც ყოველთვის იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. ძნელია ენდო კონკურსს, სადაც ფავორიტი არა სიმღერისა და შესრულების ხარისხის მიხედვით, არამედ კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობის სხვა ქვეყნისადმი დამოკიდებულებით განისაზღვრება. ამის მაგალითი უკვე არაერთხელ ვიხილეთ. მაგალითად ლამის ერთ ქვეყანად ქცეული რუსეთი და ბელორუსი ერთმანეთს ყოველთვის მაღალ ქულებს უწერს, სომხეთი და აზერბაიჯანი კი ერთმანეთს თითქოს ვერც ამჩნევენ. მსგავსი დამოკიდებულების ფაქტი წელსაც გვქონდა: საქართველომ დიდების "ევროვიზიაზე" უკვე ორჯერ მიიღო მონაწილეობა და ორჯერვე რუსეთის წარმომადგენელს მაღალი შეფასება მისცა. ამჯერად კი "მეზობლებისთვის" მხოლოდ 4 ქულა გავიმეტეთ, რისი ახსნაც საკმაოდ ადვილია. რაც შეეხება ჩვენს წლევანდელ წარმატებას, ალბათ არავის აქვს ილუზია, რომ "ბზიკებმა" მხოლოდ თავიანთი მუსიკალურობის წყალობით გაიმარჯვეს და არა პოლიტიკური ფაქტორის გათვალისწინებითაც. თუმცა ალბათ ისიც უნდა გვიხაროდეს, რომ ევროპის ჩვეულებრივი მოსახლეობა ასე გვიჭერს მხარს.

მეორე მხრივ, ფაქტის წინაშე ვართ - საქართველო პირველ ადგილზეა, სცენაზე ქართული დროშები ფრიალებს, სამი პატარა მომღერალი კი თავისი ცხოვრების პირველ მნიშვნელოვან გამარჯვებას ზეიმობს. დღეს ისინი თავიანთი ქვეყნის პატარა ვარსკვლავები არიან და არავინ იცის, კიდევ რამდენჯერ მოუწევთ გამარჯვების დაგემოვნება. მარიამ კიკუაშვილის, მარიამ თათულაშვილისა და გიორგი შიოლაშვილის ტრიო სპეციალურად საბავშვო "ევროვიზიისთვის" შექმნეს. სამივე ბავშვი შიდა ეროვნულ კონკურსში მონაწილეობისთვის კასტინგზე ცალცალკე მივიდა, მაგრამ იმდენად ერთნაირად მჟღერი ხმები ჰქონდათ, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელთან არსეულმა "ევროვიზიაზე" მომუშავე სპეციალურმა გუნდმა მათგან ერთი ჯგუფის შექმნა გადაწყვიტა.

პროექტმა გაამართლა და ბზუილა ბავშვები შიდა შესარჩევ კონკურსზე ქართველმა მაყურებელმაც აირჩია. "ბზიკებმა" დიდი უპირატესობით ძლიეს დანარჩენ კონკურსანტებს და კვიპროსის ქალაქ ლიმასოლში გამგზავრების უფლებაც მოიპოვეს. წელს საბავშვო "ევროვიზიაზე" 15 ქვეყანა მონაწილეობდა. მათგან უმეტესობას "ევროვიზიაზე" მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვს, ხოლო ბელორუსმა და რუსმა ბავშვებმა შარშან და შარშანწინ პირველი ადგილებიც დაიმსახურეს.

როგორც დიდების "ევროვიზიიდან" იცით, მომდევნო წლის კონკურსი გამარჯვებული მომღერლის სამშობლოში იმართება ხოლმე. საბავშვო კონკურსის შემთხვევაში ასე არ ხდება. არადა მსგავსი მასშტაბის ღონისძიების მასპინძლობისთვის მომავალ წელს ნამდვილად მზად ვიქნებოდით - დიდი საკონცერტო დარბაზის სარემონტო სამუშაოების დასრულებას უახლოეს მომავალში გვპირდებიან. ამჯერად საქართველოს ნაცვლად 2009 წლის "ევროვიზიას" კიევი უმასპინძლებს. სხვათა შორის ამ ქვეყანას მართლაც ჰქონდა შანსი მომავალი კონკურსის ლოგიკური მასპინძელი გამხდარიყო, რადგან უკრაინის წარმომადგენელი 11 წლის ვიქტორია პეტრიკი ჩვენს "ბზიკებს" ერთი საფეხურითა და 19 ქულით ჩამორჩა, თუმცა კონკურსის ერთ-ერთი საუკეთესო და დასამახსოვრებელი მონაწილის სახელი ნამდვილად დაიმსახურა. ასევე საინტერესო, თუმცა ალბათ ნაკლებად საბავშვო ნომრით წარსდგა მესამე ადგილზე გასული ლიტველი ეგლე იურგაიტიტე.

საქართველომ საბავშვო "ევროვიზიაზე" მონაწილეობა პირველად შარშან მიიღო. მარიამ რომელაშვილმა კონკურსის ერთ-ერთი საუკეთესო სიმღერა წარმოადგინა, თუმცა მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა. სამაგიეროდ გაიმარჯვა ბელორუსმა ბიჭუნამ საკმაოდ უფერული სიმღერითა და საყველპურო ვოკალით.

შეგახსენებთ, რომ დიდების "ევროვიზია" მომავალი წლის გაზაფხულზე მოსკოვში, რუსული ესტრადის ვარსკვლავისა და წლევანდელი კონკურსის გამარჯვებულის, დიმა ბილანის სამშობლოში გაიმართება. უკვე მიიღებულია გადაწყვეტილება, რომ 2009 წლის კონკურსში საქართველო მონაწილეობას არ მიიღებს.

# 22-ე აგენტი 007

## "შეწყალების კვანტუმი" თბილისის კინოთეატრებში გამოვიდა

ია ვეკუა

მოეშვით. მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში შეგიძლიათ თავი ორმაგად დაცულად იგრძნოთ, რადგან თქვენს უსაფრთხოებაზე მისი უდიდებულესობის საუკეთესო აგენტი 007 იზრუნებს. ჯეიმს ბონდის შესახებ გადაღებული მორიგი ფილმი "შეწყალების კვანტუმი" "რუსთაველსა" და "ამირანში" რამდენიმე დღის წინ გამოვიდა. ეს ფილმი აგვისტოს მოვლენების შემდეგ პირველი მსოფლიო პრემიერაა - მისი გამოსვლით თბილისის კინოთეატრები ერთგვარად დაბრუნებასაც აღნიშნავენ, ხოლო მაყურებელს წინ კიდევ არაერთ საინტერესო პრემიერას პირდებიან.



"შეწყალების კვანტუმი", ისევე როგორც ახალ სეზონზე ჩვენს კინოთეატრებში გამოსული ყველა ფილმი, ქართულ ენაზეა დუბლირებული, თუმცა დღის განმავლობაში არის ორი სეანსი, როდესაც ფილმი ორიგინალ ენაზე და ქართული სუბტიტრებით გადის. ასე რომ არჩევანის გაკეთება თავად შეგიძლიათ, თუმცა გირჩევთ ფილმს ქართულად უყუროთ, რადგან პერსონაჟებს პროფესიონალი მსახიობები ახმოვანებენ და არც თუ ურიგოდ. გარდა ამისა ამ მოვლენასთან შეჩვევა მოგიწევთ - რუსულად დუბლირებულ ფილმს ველარ იხილავთ.

"შეწყალების კვანტუმი" ჯეიმს ბონდზე გადაღებული 22-ე ხოლო დენიელ კრეიგის მონაწილეობით მეორე ფილმია. ორი წლის წინ გამოსული "კაზინო როიალის" გადაღების შემდეგ ეს მსახიობი მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავად იქცა, მაგრამ დღემდე მიუღებელია ბონდის თავგადაკლული ფანებისთვის. იგი პრაქტიკულად არანაირად არ ჯდება იან ფლემინგის მიერ გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოგონილი აგენტ 007-ის ტიპაჟის კრიტერიუმებში. მეტიც, საერთოდ არ გააჩნია ის მომხიბვლელობა და დატყვევების უნარი, როგორითაც უხვად იყვნენ დაჯილდოვებული მისი წინამორბედი მსახიობები.

შესაძლოა სწორედ კრეიგის ფაქტორია დამნაშავე, რომ ვერც "კაზინო როიალმა" და ვერც "შეწყალების კვანტუმმა" შეძლო ბონდიანას სხვა ფილმების მსგავსი წარმატების მოპოვება. ბოლო ფილმი კი პრაქტიკულად ასამარებს წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ტრადიციას. ფილმის ბიუჯეტი 200 მილიონ დოლარზე მეტი იყო, გადაღებების უმეტესი ნაწილი კი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ ქვეყანაში, ბოლივიაში მიმდინარეობდა, სადაც მასობრივი სცენებისთვის საჭირო ხალხის, შენობებისა და ტრანსპორტის დაქირავება და გადამღები ჯგუფის ცხოვრება მინიმალური თანხა დაჯდებოდა. ფილმში არც ვარსკვლავების ცვენაა - მხოლოდ დენიელ კრეიგი და ჯუდი დენჩი. ამას ემატება ამომავალი ვარსკვლავი ოლგა კურილენკო, მაგრამ ის ჯერ მხოლოდ ამომავალია, ამიტომ მისი ჰონორარიც შესაბამისია. სწორედ ამ ყველაფრის ფონზე ფილმში ფული არ იგრძნობა - არც განსაკუთრებული ეფექტებია და ვერც საინტერესო ისტორიით დაიკვეხნის. საკუთარ თავს არც ბონდი ჰგავს. იგი ერთხელაც არ ახსენებს თავის ცნობილ ფრაზას ბონდი, ჯეიმს ბონდი და არც ქალების მოხიბვლით იწუხებს თავს.

ნაკლების მიუხედავად, "შეწყალების კვანტუმი" მაინც ინარჩუნებს ადგილს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ტოპ ათეულებში და სალარო შემოსავლების მხრივაც ლიდერობს - ჯეიმს ბონდზე მოთხოვნილება ხომ მარადიულია.

# აფიშა

## 25 ნოემბერი

### თეატრი

**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**
ექსპერიმენტული სცენა
"განაჩენი ჩვენს ბავშვს"
დასაწყისი: 19.00

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
"ARTხელოვნება"
რეჟისორი თემურ ჩხეიძე
დასაწყისი: 19.00

**თეატრი სხვენში**
"Private Lives"
რეჟისორი რამაზ ზურაბაშვილი
დასაწყისი: 19.00

**თავისუფალი თეატრი**
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
"უჩინმაჩინის ქუდი"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00

**პანტომიმის თეატრი**
"წმინდა გიორგი"
რეჟისორი ამირან შალიკაშვილი
დასაწყისი: 19.00

**სამეფო უბნის თეატრი**
"ჩემი მეგობარი ჰიტლერი"
დასაწყისი: 19.00

### კინო

**"ამირანი"**
"ჯეიმს ბონდი - შეწყალების კვანტინიუმი"
დასაწყისი:13.00; 15.00; 17.00; 19.00; 21.00
"იდიოტკრატია"
დასაწყისი: 16.00; 20.00
"მარადონა"
დასაწყისი: 14.00; 16.00; 22.00

### გალერეა

**"ქარვასლა"**
კოკა რამიშვილის გამოფენა "ოქსიტოქსინი"
ფოტოგამოფენა "სახლთან ახლოს"

**"ვერნისაჟი"**
ქართველი მხატვრების ჯგუფური გამოფენა

**"ბაია გალერეა"**
გოგა ჩაგელიშვილის გამოფენა -"არმაზი"

**ელენე ახლედიანის სახელობის სურათების გალერეა**
სოფიო თათარაშვილი პერსონალური გამოფენა

**"ორნამენტი"**
ტიხრული მინანქრის მუდმივმოქმედი გამოფენა

## თბილისის ოპერის საჩუქარი ქუთაისს

წლეულს ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელს დაარსებიდან 90 წლისთავი უსრულდება (დირექტორი - ენი არსენიძე).

იუბილესთან დაკავშირებით მთელი წლის მანძილზე არაერთი ღონისძიებაა დაგეგმილი. ერთ-ერთი მათგანი 29 ნოემბერს ქუთაისის უნივერსიტეტში შედგება თბილისელი სტუმრების მონაწილეობით - თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმებიანი კვარტეტი გიორგი ხაინდრავას, პაატა ჭანტურიშვილის, ირაკლი ჯაფარიძისა და გიორგი ჯორჯაძის შემადგენლობით გამართავს კონცერტს. სოლისტის ამპლუაში წარსდგება ახალგაზრდა პიანისტი ირაკლი ოიკაშვილი.

საგულისხმოა, რომ თბილისის ოპერის თეატრის სიმებიან კვარტეტს, რომელიც აგერ უკვე ორ წელიწადზე მეტია, რაც აქტიურად მოღვაწეობს დედაქალაქში, ქუთათურები პირველად შეხვდებიან. მრავალფეროვანი პროგრამა და კონცერტში მონაწილე მუსიკოსების მაღალი საშემსრულებლო დონე ქუთაისელი მსმენელებისთვის სიამოვნების საწინდარია.

# ვარსკვლავი არავარსკვლავურ ინტერიერში

მზეხა მახარაძე



ჩიტაძის ქუჩა N 10 - თბილისური ეზო... პატარა, უხმაურო, მოუვლელი... ამ ძველისძველ სახლში ცხოვრობს დოდო ჭიჭინაძე. სახლის კედლები ბზარებით არის დასერილი... ავინის ჩუქურთმაც ჩამოშლილია და აღარც შესასვლელი კარის დეკორატიული ცხაურებია შემორჩენილი... აქედან იწყება ამ სახლის უცნაური ლაბირინთები, ან თუნდაც, ბიოგრაფია, რომელიც ხის ვიწრო კიბეზე იქ არსებული ურთიერთობების სიმბოლოდ აგედევნება... ამ ეზოში ყველამ იცის, რომ მათ დიდ ოჯახში არის კინოვარსკვლავი, რომლის დოკუმენტური კინონარსული დროსა და სივრცეში ცოცხლობს და მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში მონაწილეობს. ამბობენ, რომ ფოტოებით სავსე ოთახებში დოდო ჭიჭინაძის პიროვნულ ხიბლსა და კეთილშობილებაზე შექმნილი ცალკე ლეგენდა არსებობს... ლეგენდა, რომელსაც თავისი გენეტიკური ისტორია აქვს და ასევე ლეგენდები მოჰყვება მემკვიდრეობად... ბზარები, კიდევ უფრო დიდი ბზარები, კუთხეებში გახსნილი კედლები... კინოვარსკვლავის კარი ღიაა, მაგრამ მაინც ვაკაკუნებ...

- მოდი გენაცვალე, - ღიმილით მხვდება ყველასთვის ერთნაირად თბილი და საყვარელი მსახიობი.

**- როგორ ხართ ქალბატონი დოდო?**

- რა ვიცი, თითქოს კარგად... შეხედეთ ჩემს სახლს, ზევით აიხედეთ, საშინელებაა! წამოდი, მეორე ოთახში გაჩვენებ, იქ, რაც ხდება...

**- წვიმს კიდეც, თუ ეს გამონაჟონი ძველია?**

- ძველია, როცა იშლებოდა მთელი კედლები, მაშინ გადახურეს ჭერი. არც ერთ მეზობელს არ მიუღია მონაწილეობა...

**- რატომ?**

- სად აქვთ მაგის საშუალება... ფრთხილად იყავი მანდ, ფეხი არ დადგა, ეგ აივანი ვარდებოდა ძირს, ბოძები აქვს ეხლა შედგმული, მაინც არ არის ისე მყარად...

**- იატაკიც დეფორმირებულია...**

- ამ რამდენიმე დღის წინ იყო პატარა მიწისძვრა, იცით აქ რა მოხდა? ეს ოთახები მტვრით გაივსო, ვერ ვსუნთქავდი... ადრე დიდი მიწისძვრის დროს მესამე ხარისხის დაზიანებას მიაკუთვნეს ეს ბინა. იცით რა გითხრათ, ეს იყო ჩემი მეუღლის მამის სახლი, ყველამ იცის, მე რა ცუდ მდგომარეობაში ვარ ბინის მხრივ, ვის არ მოვმართე, არ მკითხოთ რამდენჯერ... მეუბნებიან, ცოტა ხანს გვაცალეთ, ჩვენ სხვა საქმეები გვაქვსო. მოვლენ, ათვალიერებენ, რაღაცეებს ჩაიწერენ და წავლენ...

**- როგორ ფიქრობთ, ხომ არ იწერება ეს დოკუმენტები მხოლოდ დოკუმენტისთვის?**

**სახელმწიფომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარა, თუმცა ფაქტია ისიც, რომ ძველ უბნებში უნიკალური სახლები ინგრევა, იქ მცხოვრებლები სოციალურად დაუცველნი არიან - არსად აქვთ წასასვლელი, შველას ითხოვენ, ნანგრევებში მოყოლის შიშით, მაგრამ მათთვის ჯერჯერობით არაფერია სანუგეშო. როგორ შეძლებენ ისინი, ან თუნდაც თქვენ ამ ბინის რეაბილიტაციას?**

- ცოდოა ძველი თბილისი ნგრევისთვის გავიმეტოთ, დაანგრიო შენი ქალაქის სილამაზე და ისტორია, ეს დანაშაულია...

**- რამდენი ხანია ამ სახლს ძეგლის სტატუსი აქვს?**

- ეს არ ვიცი, მაგრამ მე არ მესმის რა ღირებულება აქვს ამ სახლს? რა ძეგლი უნდა იყოს ჩვეულებრივი 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლი? ყოველ შემთხვევაში მე უბინაოდ ვარ და ეს ვიცი.

**- ძველი თბილისის ისტორიული ნაწილი როგორც ცნებითი ღირებულება უცვლელია, მაგრამ როგორია ამ მხრივ სახელმწიფო პოლიტიკა? - ამ შეკითხვაზე ოფიციალური სტრუქტურები კანონის ენით გველაპარაკებიან, კერძო საკუთრება გარდა იმისა, რომ უფლებაა, მოვალეობაცაა. სოციალური ფაქტორი პირდაპირ ეჯახება ამ საუკუნოვანი მემკვიდრეობის გადარჩენის აუცილებლობას... ქალბატონო დოდო, ამ დაშლილი სახლის ბედით, ნუთუ აქამდე რომელიმე ინვესტორი არ დაინტერესდა?**

- როგორ არა, დაპირებული იყო ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ჩემი ეზოს პირდაპირ სახლს აშენებს. მას უნდოდა რომ ეს ბინა დაენგრია, მაგრამ იცით, რაშია საქმე: აქ ცხოვრობს რამდენიმე ოჯახი. მან მითხრა: - თუ გინდათ ვაკეში კარგ ბინას გიყიდით და აქედან გადაგიყვანთო, მაგრამ მე ეს შეგნებულად არ გავაკეთე და რატომ: შემეცოდნენ ჩემი მეზობლები. კარგი, მე გადავიდოდი ძვირფას სახლში, მაგრამ მერე ესენი? ესენი სად წავიდოდნენ? არ მესიამოვნებოდა რომელიმე მათგანი ბინას თუ არ მიიღებდა. მერე ეს სახლი რომ დაინგრეს და ახალი აშენდეს, ამაზე დობენ, ცალკე დაობენ იმაზეც, რომ ძეგლის სტატუსის გამო არ უნდა დაინგრეს... ჩემს გამო მე აღარავის აღარ ვაწუხებ, დავილაღე. გუშინ დამირეკა დავით ოქიტაშვილმა და მითხრა ვარსკვლავი უნდა გაგიხსნათო.

**- ვარსკვლავის გახსნა სასიამოვნო განცდაა, მაგრამ რამდენად გამართლებულია როცა ამ ვარსკვლავებს ვარსკვლავებივით არ ვაცხოვრებთ? როგორ ფიქრობთ, თქვენს ცხოვრებაში რამე შეიცვლება ლითონის ვარსკვლავის შემდეგ?**

- იცით რა გითხრათ, მე მაქვს უფლება წუწნარად ვიცხოვრო, მაგრამ არა ასეთ პირობებში... 28 თებერვალს 85 წლის ვხდები, ალბათ ამ დღეს გახსნიან ვარსკვლავს მარჯანიშვილის თეატრის წინ. ჩემი კინოროლებიდან მე ძალიან მიყვარს "ბაში-აჩუკი", "დავით გურამიშვილი" და "ბედნიერი შეხვედრა". თეატრიდან? - "ჯარისკაცის ქვრივი". ეს რეზო ჯაფარიძის პიესა იყო, ვთამაშობდი ქვრივ ქალს, რომელიც ზრდის 3 შვილს და ვთამაშობდი ისე, რომ... ქველმოქმედი კაცი, რომელიც დღეს მე მაძლევს დიდ პენსიას, მაშინ იყო პატარა ბიჭი, ამ სპექტაკლზე იყო, თურმე იმდენი უტირია...

**- საზღვარგარეთ რომ გეცხოვრათ, ასეთ პირობებში ხომ არ იქნებოდით?**

- ნამდვილად არა, მაგრამ მე ჩემი სამშობლო მიყვარს, ჩემი სამშობლოს იქით ვერ ვიცხოვრებ, არ შემიძლია... 24 ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ არ შეიძლება შენ შენივე ფესვი მოიჭრა, ოჯახსაც აქვს მნიშვნელობა საიდან მოდიხარ. მამაჩემი თავის დროზე 1924 წლის აჯანყების მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის განუყრელი მეგობარი იყო... ერთხელ მკითხეს, როგორ საქართველოში გინდაი იცხოვროთო? მე ვუპასუხე: - სადაც მკურნალობა და განათლება უფასო იქნება მეთქი. როცა ლტოლვილები ჩამოვიდნენ, ერთი ქალი თავისი შვილით ორი წლის მანძილზე ჩემთან ცხოვრობდა, ვაჭმევდი და ვასმევდი... კეთილი ხალხისგან მე დიდი პენსია მაქვს, ისინი ბევრს აკეთებენ, რომ ინტელიგენცია მშიერი არ დაიხოცოს. უპატრონო ბავშვთა სახლში ვიყავი, ვხედავ 7 წლის ბიჭს, ძალლი ჰყავს მიხუტებული გულზე. ვეკითხები: - ბები, ეს ლეკვი ვისია? - უპატრონოა, ჩემს ულუფას ვუყოფო. აი, ეს არის ადამიანობა...

"მადლობ გენაცვალე, რომ შემომიარე..." - ბოლოს სევდიანად ამბობს ქალბატონი დოდო, თბილად იღიმება და ჩვეული მზრუნველობით მაფრთხილებს: "კიბეზე ნელა ჩადი, ხომ იცი, ყანყალებს..."

მთაწმინდაზე ერთი პატარა ეზოს მსგავსად, რამდენი ასეთი ბინადარია ამ უბანში? და მაინც, როდის გამოვიყვანთ მათ დასანგრევად განწირული სახლებიდან? - ოფიციალური, ზოგადი ფრაზები... დაპირებებითა და პრობლემებით დაღლილი მცხოვრებლებისთვის ზოგჯერ ისიც გაუგებარია თუ რას ნიშნავს ესა თუ ის დაპირება. დროში გამოტარებულ "თავშესაფარში" იციან, რომ ეზოს მიღმა "გაუცხოებული და გულგრილი" ყოფა მათი სოციალური დრამის დაუწერელ კანონებს უმიზნოდ და უშედეგოდ ერგება, თუმცა არსებობს ბზარებში ჩარჩენილი ლუზიები და ნანგრევებისგან გადარჩენილი იმედიც...

# სპორტი

## ქართველი ქალები ოლიმპიურ ოქროს უმიზნებენ

გერმანიის ქალაქ დრეზდენში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადა დასასრულს მიუახლოვდა. გასამართი დარჩა მეთერთმეტე ტური. ათი ტურის შედეგების მიხედვით ქართველ ქალებს ოლიმპიური ოქროს მოგების რეალური შანსი აქვთ. რაც შეეხება ვაჟებს, ისინი ათეულში მოსახვედრად იბრძვიან.

გუშინ ოლიმპიურ თამაშებზე დასვენების დღე იყო. დღეს ბოლო ტური უნდა გაიმართოს.

ოქროსთვის ბრძოლაში ჩვენი ქალებისთვის გადამწყვეტი გამოდგა ბოლოსწინა - მეათე ტური, რომელშიც მაია ჩიბურდანიძე და კომპანია შავი ფიგურებით ჩინეთის უძლიერეს ნაკრებს დაუპირისპირდა. სწორედ ჩინეთის გუნდი ითვლებოდა ოლიმპიური ოქროს მოგების მთავარ კანდიდატად, თუმცა ქართველ ქალებთან თამაშის შემდეგ ჩინელებმა არათუ ოქროს, არამედ საპრიზო ადგილის მოპოვების შანსიც კი დაკარგეს.

შავი ფიგურებით ქართველმა ქალებმა ჩინელები 2.5:1.5 დაამარცხეს. მაია ჩიბურდანიძემ ჩინელი ვუნდერკინდი 14 წლის იფან ჰოუ დაამარცხა. მოიგო ნანა ძაგნიძემაც. ლელა ჯავახიშვილი მეტოქეს დაუზავდა. ჩინელებს ანგარიშის შელამაზებს



*საქართველო-ჩინეთის მატჩის ეპიზოდი*

შანსი მისცა ლომინეიშვილმა, რომელიც ვენჟუ ჟუსთან დამარცხდა.

ათი ტურის შემდეგ ქართველ ქალებს, ისევე როგორც სერბებსა და უკრაინელებს, 16 ქულა აქვთ, პირველ ადგილზე მყოფ პოლონელებს კი - 17. დღეს სწორედ ლიდერთა ოთხეული ითამაშებს ერთმანეთთან და ჩემპიონის ვინაობაც გაირკვევა. ქართველები თეთრი ფიგურებით სერბებს დაუპირისპირდებიან და, გამარჯვების შემთხვევაში, ჩემპიონობის რეალური შანსი აქვთ, რადგან პოლონეთი და უკრაინა ერთმანეთში თამაშობენ.

რაც შეეხება ვაჟთა ნაკრებს, მეათე ტურში ჩვენმა გუნდმა დანიის ნაკრები 2.5:1.5 დაამარცხა. 10 ტურის შემდეგ ჩვენს გუნდს 14 ქულა დაუგროვდა და მეთორმეტე პოზიციას იკავებს, თუმცა მეხუთე ადგილზე მყოფ გუნდს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება და, ბოლო ტურში წარმატებული თამაშის შემთხვევაში, ათეულში მოხვედრის რეალური შანსი ექნება. დღეს ქართველი ვაჟები რუმინეთის ნაკრებს უპირისპირდებიან. ჩემპიონობის რეალური შანსი აქვთ სომხეთისა და უკრაინის გუნდებს, რომლებსაც 10 ტურში 17 ქულა მოუგროვდათ.

## "მესხეთი" იგებს და... იშლება

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე მოულოდნელობებით დაიწყო. "ლოკომოტივმა", რომელიც ერთი თვის წინ ლამის ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტი იყო, ზედიზედ მეოთხე მარცხი განიცადა. თანაც, გიორგი კიკნაძის გუნდი ამჯერად დამარცხდა მეტოქესთან, რომელიც დაშლის პირასაა. მძიმე ფინანსური პრობლემების გამო ახალციხის "მესხეთმა", შესაძლოა, უახლოეს დღეებში შეწყვიტოს არსებობა და ისედაც ნაკლული ეროვნული ჩემპიონატი თერთმეტიდან ათ გუნდამდე შემცირდეს. ამას მოწმობს თავად კლუბის მიერ გავრცელებული ოფიციალური განცხადება, რომელშიც ახალციხელები ფინანსურ პრობლემებს აღიარებენ, შველას ითხოვენ და, დახმარების მიუღებლობის შემთხვევაში, ადასტურებენ, რომ კლუბი საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობას შეწყვეტს. ასეთი სამწუხარო რეალობა არაერთ ქართულ კლუბს დასდგომია და, ქვეყანაში არსებული არცთუ სტაბილური ეკონომიკური ვითარების გამო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დახმარების გამონახვა დიდ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული. მიმდინარე სეზონში ანალოგიური მიზეზით ეროვნულ ჩემპიონატს გამოაკლდა საქართველოს თასის ორგზის გამარჯვებული თბილისის "ამერი". ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ერთი რამ ფაქტია: ახალციხის "მესხეთი" ნამდვილად არ იმსახურებს ამას. ამ გუნდმა მიმდინარე სეზონში რამდენიმე სენსაცია მოახდინა. მარტო ის რად ღირს, რომ "მესხეთმა" გასვლით მატჩში ერთ-ერთი გამოკვეთილი ფავორიტი - "ზესტაფონი" დაამარცხა. მე-12 ტურში კი, ფინანსური და აქედან გამომდინარე ფსიქოლოგიური პრობლემების მიუხედავად, თბილისის "ლოკომოტივიც" "ზესტაფონის" გზას გაუყენა.

ამ მატჩში პირველი გოლი სტუმრებმა გაიტანეს. შედეგიანი დარტყმით კახელიშვილი გამოირჩა, თუმცა, ეს წარმატებმა ლოკოელთათვის "მესხეთთან" მატჩში პირველი და უკანასკნელი გამოდგა. ამის შემდეგ გოლები მხოლოდ მასპინძლებს გაჰქონდათ. ორჯერ გრიგალაშვილმა და სამადაშვილმა დამაჯერებელი ანგარიშით გაამარჯვებინეს მასპინძლებს.

კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგი აღინიშნა ზესტაფონში, თუმცა, ერთი ფაქტორი რომ არა, "ოლიმპის" მორიგი წარმატება უკვე კანონზომიერადაც შეიძლებოდა მიგვეჩნია. მე-20 ეროვნული ჩემპიონატის მე-12 ტურამდე როგორც სათასო, ისე ჩემპიონატების მატჩებში "ზესტაფონი" და "ოლიმპი" თორმეტჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. რუსთაველებს, მათთვის ტრიუმფალურ-საჩემპიონო სეზონშიც კი ერთი მატჩიც არ ჰქონდათ მოგებული. მიმდინარე სეზონის პირველი წრის შეხვედრაც, რომელიც რუსთავში გაიმართა, ფრედ - 0:0 დასრულდა. "ოლიმპმა" ახალი მთავარი მწვრთნელის ვარლამ კილასონიას ხელში გატეხა ნავსი. კილასონიას მისვლით "ოლიმპში" ახალი ერა დაიწყო. გუნდი ახლებურად ათამაშდა, ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ჩატარებულ შვიდიდან არც ერთ მატჩში მარცხი არ განუცდია, ხოლო ბოლო ხუთ შეხვედრაში ერთი გოლიც კი არ გაუშვია.

ამჯერად რუსთაველებმა საკუთარი კარის "მშრალად" შენახვაც მოახერხეს, პირველ ტაიმში გოლი გაიტანეს (ჩიკვილაძე, 13") და მორიგი სამი ქულა მიითვალეს, რისი წყალობითაც საჩემპიონო რბოლას თანდათან უბრუნდებიან.

ლიდერობა შეინარჩუნა "ვიტ ჯორჯიამ", რომელმაც - 4:1 დაამარცხა "ბორჯომი". ბორჯომელებმა მხოლოდ პირველ 15 წუთში გაუწიეს ლიდერს წინააღმდეგობა, როცა კვახაძის გოლს ხორგუაშვილმა უპასუხა, თუმცა, ტაიმის დარჩენილ ნახევარ საათში ნესტორ მუმლაძის გუნდმა კიდევ სამჯერ დალაშქრა სტუმართა კარი. თავი გამოიჩინეს კვარაცხელიამ, ლიპარტიამ და ბეჭვაიამ. მეორე ნახევარში გოლი აღარ გასულა და მატჩი დასრულდა "ვიტ ჯორჯიას" გამარჯვებით - 4:1.

თბილისის "დინამომაც" იმარჯვა და, მიმდინარე ჩემპიონატში პირველად, სატურნირო ცხრილის მეორე პოზიციაზე აღზევდა. რაც ყველაზე მთავარია, რაინერ ცობელის გუნდმა დამაჯერებელი რევანში აიღო იმ თავხედური მარცხისთვის, რომელიც მას პირველ ტურში დებიუტანტმა "გაგრამ" მიაყენა. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ მატჩის მეორე ნახევრის დასაწყისშივე ანგარიში მერებაშვილმა (53") გახსნა, რასაც ვაწაძის გოლი მოჰყვა. სტუმართა რბევას წერტილი დაუსვა მერებაშვილმა, რომელმაც ორი მცველი მოატყუა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მსაჯმა მოედნიდან გააძევა სტუმართა ფეხბურთელი ქაჯაია, რაც მატჩის საბოლოო შედეგზეც აისახა.

**მე-12 ტური**

| | |
|---|---|
| დინამო - გაგრა | 3:0 |
| ზესტაფონი - ოლიმპი | 0:1 |
| ვიტ ჯორჯია - ბორჯომი | 4:1 |
| სიონი - მგლები | 2:2 |
| მესხეთი - ლოკომოტივი | 3:1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 11 | 7 | 3 | 1 | 19:8 | 24 |
| დინამო | 11 | 7 | 1 | 3 | 23:10 | 22 |
| ზესტაფონი | 11 | 6 | 2 | 3 | 13:7 | 20 |
| ლოკომოტივი | 11 | 6 | 0 | 5 | 15:12 | 18 |
| მესხეთი | 11 | 4 | 3 | 4 | 12:13 | 15 |
| სიონი | 11 | 3 | 6 | 2 | 11:8 | 15 |
| ოლიმპი | 11 | 3 | 6 | 2 | 8:7 | 15 |
| მგლები | 11 | 4 | 1 | 6 | 12:14 | 13 |
| გაგრა | 11 | 3 | 2 | 6 | 10:18 | 11 |
| ბორჯომი | 11 | 2 | 4 | 5 | 11:23 | 10 |
| სპარტაკი | 10 | 1 | 0 | 9 | 6:20 | 3 |

## ფილამ დარჩიას 2008 წელი დაუთვალა

გიგა გურასაშვილი

როგორც არ უნდა იყოს, მწვრთნელები შეგიდერდებთან შედარებით ყოველთვის ჩრდილში დგანან, არადა მათზე ბევრი რამაა დამოკიდებული, რაც სპორტის გულშემატკივარმა კარგად იცის. ყოველ შემთხვევაში ჭიდაობაში ასეა. შეიძლება გყავდეს, ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მაგრამ მაინც ნაკლებად ჟღერდეს შენი სახელი. აი, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) კი ყველაფერი სხვაგვარად განსაჯა და ენეფში (გერმანია) მწვრთნელთა სემინარებისას საქვეყნოდ, ამასთან პირველად განაცხადა, წლის საუკეთესო ბერძენ-რომაელთა მწვრთნელი ბეგი დარჩიააო. რა თქმა უნდა, ამაში საქართველოს ნაკრების მწვრთნელი იგულისხმება. ქართველ ბერძენ-რომაელთა დამრიგებელის აღიარებაზე ჩვენც დროულად ვიუწყებოდით, მაგრამ დაუსწრებლად. ბეგი დარჩია ახლა თბილისშია, რომელთანაც შეხვედრა გუშინ ფალავანთა კლუბში შედგა.

ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ თქვა, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მსგავსი აღიარება განსაკუთრებით საამაყოაო.

ასეა, მით უმტეს, როდესაც ფილა-ში მსგავსი რამ პირველი შემთხვევაა. პირველი შემთხვევა, როდესაც საუკეთესოდ ვლინდება მწვრთნელი, თორემ სპორტსმენების საუკეთესოდ გამოცხადება ჩვეული ამბავია. ასე მაგალითად, 2006 წლის საუკეთესო მოჭიდავედ თავისუფალი სტილით მოჭიდავე გიორგი გოგშელიძე დასახლედა. ასეთი მაგალითები საუკეთესო სპორტსმენთა გამოვლენისა კიდევ ბევრია.

"გერმანიაში მწვრთნელთა სემინარებზე ინსტრუქტორის სტატუსით ვიყავი, სადაც მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად დამასახელეს. ვეცდები ამაზე არ შევჩერდე და ქართულ ჭიდაობას მეტი სახელი და დიდება მოვუტანო", - ფალავანთა კუბში შეხვედრისას აცხადებდა ბერძენ-რომაელთა მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელი ბეგი დარჩია.



## კასანომ "იუვენტუსი" გამორიცხა

გენუის "სამპდორის" ფორვარდი ანტონიო კასანო კატეგორიულად უარყოფს იტალიურ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას მისი შესაძლო ტრანსფერის თაობაზე ტურინის "იუვენტუსში".

"ტურინში სულ ცივა. მე კი თბილი ტანსაცმელი არა მაქვს, -იხუმრა ფეხბურთელმა, - თუ ჩემს ტრანსფერზე სერიოზულად გსურთ საუბარი, გეტყვით, რომ "იუვენტუსში" ჩემს გადასვლაზე გავრცელებული ინფორმაცია სრული სისულელეა".

## ვიეირას საბერძნეთში იწვევენ

საფრანგეთის ნაკრებისა და მილანის "ინტერის" ვეტერან ნახევარმცველს პატრიკ ვიეირას ბერძნული "ოლიმპიაკოსი" იწვევს.

32 წლის ვიეირა "ინტერში" მოურინიოს მისვლისა და გადატანილი ტრავმის შემდეგ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ფაქტობრივად ველარ ხვდება და არ არის გამორიცხული ბერძნების შეთავაზება მიიღოს. ამ შემთხვევაში ვიეირა ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე "ოლიმპიაკოსში" გადაბარგდება.

## აბრამოვიჩი ბრიჯს "სიტიში" არ გაყიდის

ლონდონის "ჩელსის" რუსმა მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა თავისი გუნდის მენეჯერებს "მანჩესტერ სიტისთან" უეინ ბრიჯის თაობაზე მოლაპარაკების გამართვა აუკრძალა.

არ იფიქროთ, რომ აბრამოვიჩს ბრიჯი ძალიან სჭირდება. 28 წლის მცველი ვერ უძლებს "ჩელსიში" არსებულ კონკურენციას და გუნდის ძირითად შემადგენლობაში საერთოდ ვერ ხვდება. ამ ვითარებაში მისი ტრანსფერი, ცხადია, ყველასთვის მისაღები იქნებოდა. თუმცა, "სიტის" გარდა, აბრამოვიჩი ბრიჯს ნებისმიერ გუნდში გაუშვებს. საქმე ის არის, რომ რუსი მილიარდერი "ქალაქელებზე" მას შემდეგ განაწყენდა, რაც ზაფხულში მათ ლონდონის "ჩელსის" მეპატრონეს ცხვირწინ აწაპნეს რობინიო.

## "რეალის" დანაკლისი

მადრიდის "რეალმა" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურის მატჩში "ბატეს" წინააღმდეგ შესაძლოა უესლი სნაიდერისა და გონსალო იგუანის გარეშე ითამაშოს. ორივე ფეხბურთელი ესპანეთის ჩემპიონატში "უელვასთან" 1:0 მოგებულ შეხვედრაში დაშავდა.

## მადლიერი გვარდიოლა

ესპანური "ბარსელონას" მთავარმა მწვრთნელმა პეპ გვარდიოლამ ესპანეთის ჩემპიონატის მეთორმეტე ტურში "ნოუ კამპზე" "ხეტაფესთან" ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ გულშემატკივარს მადლობა გადაუხადა.

"წარუმატებელი დღეები ყველა გუნდს აქვს, მათ შორის "ბარსელონასაც". მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს გულშემატკივარს, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში გვერდით გვედგა და გვქომაგობდა. დაკარგული ქულებისა და უფერული თამაშის მიუხედავად, ქომაგმა ფეხბურთელები მინდვრიდან ტაშით გააცილა", - აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში პეპ გვარდიოლამ.

"ბარსელონა" ესპანეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას და უახლოეს მდევარ "რეალს" სამი ქულით უსწრებს.

## რონალდუს გარეშე

დღეს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მორიგ ტურში "მანჩესტერ იუნაიტედი" "ვილიარეალს" უპირისპირდება. ამ შეხვედრაში შესაძლოა მანკუნიანელთა ლიდერმა კრიშტიანუ რონალდუმ ვერ მიიღოს მონაწილეობა - ის ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში დაშავდა.

"მან ფეხი დაიზიანა და არ ვიცი შეძლებს თუ არა სამშაბათს თამაშს", - აცხადებს "მანჩესტერის" მთავარი მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი.

## ალმუნიას "მეთოფეთა" კაპიტნობა არგუნეს

ესპანელი მეკარე მანუელ ალმუნია "არსენალის" კაპიტნად დაინიშნა. კაპიტნის სამკლაური ალმუნიას მას შემდეგ გადაეცა, რაც გუნდის ფრანგი კაპიტანი უილიამს გალასი პარტნიორების შეურაცხყოფისათვის გუნდიდადნ გაიყვანეს. ალმუნია "არსენალში" 2004 წელს მივიდა, თუმცა პირველ ნომრად ის 2007/08 წლების სეზონში იქცა. ალმუნიას თავის გამოჩენის შანსი მისცა იენს ლემანის ტრავმამ და მის მიერ დაშვებულმა რამდენიმე შეცდომამ.

გუშინ ვენგერმა გალასს სასჯელი შეუმსუბუქა და გუნდთან ერთად ვარჯიშის საშუალება მისცა. მეტიც, არ არის გამორიცხული, რომ უილიამ გალასმა ჩემპიონთა ლიგის მატჩში კიევის "დინამოს" წინააღმდეგ ითამაშოს, თუმცა დაუბრუნებენ თუ არა ფრანგს კაპიტნის სამკალურს, უცნობია.

# კალაძის ხელმა "მილანი" შეიწირა



"მუმუ" სეზონის მიწურულს ათამაშდა

გასული უქმეები ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატებში მოასპარეზე ქართველი ფეხბურთელებისთვის დიდად გასახარი არ ყოფილა. ქართულმა საფეხბურთო ლეგიონმა ვერაფრით გამოიჩინა თავი. გერმანული ბუნდესლიგის გათამაშებამ ფაქტობრივად ქართველების გარეშე ჩაიარა. ინგლისურ პრემიერლიგაში "ხიზანას" არც ამჯერად მისცეს თამაშის საშუალება, კალაძემ პენალტი "აიკიდა" და "მილანს" გამარჯვება დააკარგვინა.

დავიწყოთ წამყვანი ჩემპიონატებით, რომლებშიც ჩვენთვის გასახარი ბევრი არაფერი მომხდარა. იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში "მილანი" სტუმრად "ტორინოსთან" თამაშობდა. კახა კალაძე ძირითადში იყო და მთელი 90 წუთიც დაჰყო მოედანზე. ანგარიშიც მასპინძლებმა გახსნეს, თუმაც მილანის ბრაზილიელმა ლეგიონერებმა სულ მალე ორი გოლი გაიტანეს. ჯერ პატომ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი რონალდინიომ მორიგი გოლი გაიტანა და 35-ე წუთისთვის ანჩელოტის შეგირდები თამაშს უკვე 2:1 იგებდნენ. 77-ე წუთზე "მილანის" საჯარიმოში კახა კალაძეს ბურთი ხელზე მოხვდა. მსაჯმა ქართველ მცველს ყვითელი ბარათიც უჩვენა და "როსონერის" კარში პენალტი დანიშნა, რომელიც როზინამ გოლად აქცია. მატჩი ფრედ - 2:2 დასრულდა.

თავად კახა კალაძე მსაჯის გადაწყვეტილებამ აღაშფოთა. ქართველი მცველი არ უარყოფს, რომ ბურთი ხელზე მოხვდა, მაგრამ ამბობს, რომ ხელით არ უთამაშია.

"იმ ეპიზოდში პენალტის დანიშვნა დიდი შეცდომა იყო. ბურთს თეძოთი შევეხე. თეძოდან ასხლეტილი ბურთი ხელზე მომხვდა. ეს ხელით თამაში არ ყოფილა. თუ არ გჯერათ, ნახეთ საფეხბურთო წესებში, სადაც წერია: თუ სხეულის რომელიმე ნაწილიდან ასხლეტილი ბურთი ფეხბურთელს ხელზე ხვდება, ეს ხელით თამაშად არ ითვლება. ასე რომ, მსაჯმა უსამართლოდ დანიშნა პენალტი," - აცხადებს "მილანის" ქართველი მცველი.

ამავე ტურში "პალერმომ" ფრედ - 1:1 ითამაშა "ბოლონიასთან". ლევან მჭედლიშვილი სიცილიელთა შემადგენლობაში არ გამოჩენილა.

ინგლისურ პრემიერლიგაში "ბლექბერნი" "ტოტენჰემს" ხვდებოდა. ხიზანიშვილი არც ამჯერად ყოფილა თავისი გუნდის შემადგენლობაში. ინსის შეგირდებმა კი მატჩი 0:1 დათმეს. ეს ერთადერთი გოლი "ბლექბერნის" კარში "ტოტენჰემის" რუსმა ფორვარდმა პავლუჩენკომ გაიტანა.

გარმანულ ბუნდესლიგაში "შალკემ" მიონხენგლადბახის "ბორუსია" ყენიასა და კობიაშვილის გარეშე ანგარიშით 3:1 დაამარცხა. ქართველი ფეხბურთელები მინდორზე არც გასულან.

ალექსანდრე იაშვილის "კარლსრუე" საკუთარ მოედანზე დორტმუნდის "ბორუსიასთან" დამარცხდა. "იაშკამ" მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა. მეორე ნახევარში ქართველი ფეხბურთელის ნაცვლად მწვრთნელმა მინდორზე შტინდელი გაიყვანა.

ჩვენებურების გარეშე ჩაიარა მეორე ბუნდესლიგის მორიგმა ტურმა. დავით თარგამაძის "ფრაიბურგი" "კობლენცს" დაუზავდა, ოთარ ხიზანეიშვილის "აუგსბურგმა" კი "კაიზერსლაუტერნს" 1:0 მოუგო.

ავსტრიის ჩემპიონატის მორიგ ტურში გიორგი შაშიაშვილისა და ილია კანდელაკის "შტურმი" ვენის "რაპიდს" ეთამაშებოდა და ამ გუნდის დამარცხების შემთხვევაში გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზე გადადიოდა, თუმცა გრაცელებმა გამარჯვება ხელიდან გაუშვეს. "შტურმი" 2:0-ს იგებდა. საბოლოოდ მატჩი ფრედ - 2:2 დასრულდა. ქართველმა ფეხბურთელებმა შეხვედრა სრულად ჩაატარეს.

ჩეხეთის ჩემპიონატში გიორგი განუგრავას "ბოლესლავმა" პრაღული "ბოჰემიანსი" ქართველი ნახევარმცველის გარეშე დაამარცხა და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილს ინარჩუნებს.

უკრაინის ჩემპიონატის მორიგ ტურში "ტავრიამ" სტუმრად დაამარცხა "დნიპრო". დნეპროპეტროვსკული გუნდის შემადგენლობაში ჯაბა კანკავასა და სანდრო კობახიძეს ტრავმების გამო არ უთამაშიათ. "ტავრიას" რიგებში კი ვასილ გიგიაძე მხოლოდ მატჩის 84-ე წუთზე გამოჩნდა.

სანდრო გურულის "კარპატმა" ფრედ - 1:1 ითამაშა დონეცკის "მეტალურგთან". ქართველი ფორვარდი 84-ე წუთზე შეცვალეს.

ციმაკურიძის "ზარია" კი ხარკოვის "მეტალისტთან" დამარცხდა. ქართველმა ფეხბურთელმა კი გაიტანა გოლი, მაგრამ ეს მაშინ მოხდა, როცა მისი გუნდი 0:2 აგებდა და ფაქტობრივად გიორგი ციმაკურიძის გოლმა ვერაფერი შეცვალა.

ისრაელის ჩემპიონატში ინარჩუნებს ლიდერობას გიორგი დარასელიას "მაკაბი", რომელმაც მორიგ ტურში "ჰაპოელი" 4:1 სტუმრად დაამარცხა.

ახლა კი რუსეთის ჩემპიონატზე, სადაც ქართველთა "რუბინი" გაჩემპიონდა, ხოლო დავით მუჯირმა სეზონის მიწურულს დაიწყო თამაში. რუსული პრემიერლიგის ბოლო, 30-ე ტურში სწორედ "ლოკომოტივი" და "რუბინი" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. სატურნირო თვალსაზრისით ამ თამაშს არც ერთი გუნდისთვის არ ჰქონია მნიშვნელობა. მატჩი "ლოკოს" გამარჯვებით - 2:1 დასრულდა. პირველი გოლი სწორედ "მუმუს" ზუსტი გადაცემის შემდეგ გაიტანა ოდემვინგემ. ქართველი ნახევარმცველი მწვრთნელმა 85-ე წუთზე შეცვალა. "რუბინის" განაცხადში საერთოდ არ ყოფილან სალუქვაძე და კვირკველია. სათადარიგოთა შორის გამოჩნდა ახალგაზრდა ქართველი მეკარე ნუკრი რევიშვლი. "ლოკომოტივმა" ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზე დაასრულა.

ნალჩიკის "სპარტაკი" სტუმრად რამენსკოეს "სატურნს" დაუზავდა. ნალჩიკელთა სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ ალექსანდრე ამისულაშვილი და დავით სირაძე. გოგიტა გოგუას კი ტრავმის გამო არ უთამაშია. რუსული მედიის ინფორმაციით, სირაძე "სპარტაკს" აუცილებლად დატოვებს, გოგუა კი მომავალ სეზონშიც ნალჩიკური გუნდის ღირსებას დაიცავს.

ვლადივოსტოკის "ლუჩ ენერგია", რომელიც რუსულ პრემიერლიგას ტოვებს, "მოსკვასთან" 0:3 დათმო ბოლო ტურის მატჩი. ვლადივოსტოკელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა ლევან გვაზავამ. ეს მისთვის უკანასკნელი შეხვედრა იყო ამ გუნდში. მომავალი სეზონიდან გვაზავა სავარაუდოდ "რუბინში" გადავა.

აზერბაიჯნის ჩემპიონატის მეთორმეტე ტურში ბაქოს "ბაკიმ" საკუთარ მოედანზე "თურანის" რბევა ამირან მუჯირის მიერ გატანილი პენალტით დაიწყო. მუჯირი ამ გოლს არ დასჯერდა და მატჩის 50-ე წუთზე დემეტრაძის ფლანგური გადაცემის შემდეგ მეორეც გაიტანა. ამ ტურის შემდეგ "ბაკი" სატურნირო ცხრილში მესამე ადგილს იკავებს.

# ახალგაზრდებმა ევროპა სამი ბრინჯაოთი დაასრულეს

*ძიუდოისტთა ზაგრების ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატისთვის საქართველოს ჩემპიონებით დაკომპლექტებულმა გუნდმა კონტინენტის უმთავრეს ასპარეზობაზე სამი მედალი მოიპოვა და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მეთორმეტე ადგილი დაიკავა. ათეულს მიღმა ადგილი იმან განაპირობა, რომ ქართველთაგან ვერავინ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.*



ზაგრებში დასრულებულ 23 წლამდელთა ევროპის პირველობაზე საქართველოს ნაკრებმა სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ესენი არიან უჩა ხუციშვილი (66 კგ.), დავით ლორიაშვილი (100) და გიგა წიკლაური (81).

ნაკრები საქართველოს 23 წლამდელთა ჩემპიონატის შედეგების გათვალისწინებით დაახლოებით ორი თვის წინ ჩემპიონებით დაკომპლექტდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ 66 კგ წონითი კატეგორია. აქ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბორის ფირცხელიანმა უხმო ვიცე-ჩემპიონს უჩა ხუციშვილს, რომელმაც მესამე ადგილით გაამართლა კიდეც. ნაკრებში ყველაზე მეტი გამოცდილება ჰქონდათ ბეთქილ შუკვანსა (60) და მძიმეწონოსან ადამ ოქრუაშვილს. მათ დიდ ნაკრებში ასპარეზობის გამოცდილება უმაგრებთ ზურგს და ძირითადი ნაკრების კანდიდატებად ითვლებიან. ყველაფერ ამის გათვალისწინებით ასაკობრივ ჩემპიონატში მედლის პრეტენდენტებადაც ითვლებოდნენ, მაგრამ ორივე სამეულს მიღმა აღმოჩნდა. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში თითო ოქრო-ვერცხლითა და სამი ბრინჯაოს მედლით რუსები პირველ ადგილზე გავიდნენ, მეორეზე თითო ოქრო-ვერცხლითა და ორი ბრინჯაოთი - უკრაინელები, ხოლო მესამეზე თითო ოქროსა და ბრინჯაოს მედლით - ჩეხეთის ნაკრები.

# კოკაიმ ბაშო ცხრა გამარჯვებით დაასრულა

იაპონურ კუნძულ კიუსიუზე დასრულდა 2008 წლის უკანასკნელი სუპერტურნირი სუმოში. ნოემბრის ბაშო ლევან ცაგურიამ ცხრა გამარჯვებითა და ექვსი მარცხით დაასრულა, რაც კოკაის რეიტინგში წინსვლის გარანტიას აძლევს. ის აქამდე მეთერთმეტე მაიგაშირას რანგში იყო, ხოლო ნოემბერში მოპოვებული ცხრა გამარჯვებით მნიშვნელოვანი წინსვლა უნდა განიცადოს რეიტინგში. სამწუხაროდ, ასევე მნიშვნელოვანი იქნება მეორე ქართველის ლევან გორგაძის უკუსვლა. მეოთხე მაიგაშირას რანგში მოასპარეზე ტოჩინოშინმა ნოემბრის ბაშო ჩააგდო - მხოლოდ სამი ბრძოლა მოიგო.



*კოკაი რეიტინგში დაწინაურდება*

თუმცა უნდა ითქვას, რომ წელი ტოჩინოშინისთვის მაინც წარმატებულია. ის სწორედ წელს გამოჩნდა სუმოს ელიტურ მაკუჩი დივიზიონში. სადებიუტო სეზონში გორგაძემ სამი ბაშო გამართა. პირველი ორი წარმატებული გამოუვიდა. სწორედ ამის წყალობით აღზევდა მეოთხე მაიგაშირობამდე. რაც შეეხება განვლილ ბაშოს, რანგით უკვე მაღალ საფეხურზე მყოფ ტოჩინოშინს ნოემბრის ტურნირზე სერიოზული მეტოქეები ჰყავდა და ქართველ სუმოისტს გამოცდილების არქონაც დაეტყო. ასეა თუ ისე, ტოჩინოშინმა დაიმკვიდრა ადგილი ელიტურ მაკუჩი დივიზიონში. ამიერიდან სუმოს უპირველეს ტურნირებში ორი ქართველი იქნება.

თავად ნოემბრის ბაშო დაძაბული გამოდგა. იოკოძუნა ასოშორიუს არყოფნაში იოკოძუნა ჰაკუჰოს გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ახალგაზრდა მონგოლ ჩემპიონს ნამდვილი ბრძოლა გაუმართა სეკივაკე ამამ. მათ ტურნირი 13-13 გამარჯვებით დაასრულეს. ჩემპიონის გამოსავლინებლად გაიმართა დამატებითი ორთაბრძოლა, რომელიც ჰაკუჰომ უვატენაგეს ილეთით მოიგო და მეცხრედ დაეუფლა იმპერატორის თასს.

ნოემბრის ტურნირზე მებრძოლი სულის გამოვლინებისთვის განკუთვნილი ჯილდო მოიგო მეთორმეტე მაიგაშირა იოშიკაზემ. ტექნიკური სუმოისტისთვის განკუთვნილი პრიზი გადაეცა ამას, სანახაობრივი ასპარეზობისთვის კი კომოსუბი ამინასიკი გამოარჩიეს.

დეკემბრის მეორე ნახევარში გამოქვეყნდება წლის უკანასკნელი ბანძუკე, რომლითაც გავიგებთ, თუ რომელ რანგში დაასრულებენ ქართველები 2008 წელს. მორიგი ბაშო კი 2009 წლის 11 იანვარს აიღებს სტარტს.

# ფაჩულია ერთ ქულას დასჯერდა

გასულ უქმეებზე ქართულმა საკალათბურთო ლეგიონმა ვერაფრით გამიოიჩინა თავი. ცხადია, საქართველოს ნაკრების კალათბურთელებზე საუბარს NBA-თი და ზაზა ფაჩულიათი ვიწყებთ.

"ატლანტა ჰოუქსმა" ამ უქმეებზე ორი მატჩი გამართა. "ქორები" ჯერ "ნიუ ჯერსის" დაუპირისპირდნენ და 88:83 სძლიეს. ზაზა ძირითად ხუთეულში იყო, თუმცა თავისი გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი არ შეუტანია. 34 წუთში სამი ქულა და სამი მოხსნა ქართველი ცენტრისთვის ბევრი ვერაფერი შედეგია. "ნეტსის" დამარცხების შემდეგ ჯორჯიელები კლივლენდს ეწვივნენ და ლებრონ ჯეიმსის "კავალიერსთან" 96:110 დათმეს შეხვედრა. ფაჩულია ამჯერადაც ძირითად ხუთეულში იყო. ამ თამაშისთვის გუნდს დაუბრუნდა ტრავმირებული ალ ჰარფორდიც, რომელმაც ზაზასთან ერთად ძირითადში დაიწყო თამაში, ოღონდ ფორვარდის პოზიციაზე. ლებრონის გუნდმა "ატლანტა" უშანსოდ დატოვა. ფაჩულიას მონაგარი კი მოკრძალებული იყო - ერთი ქულა და ორი მოხსნა.

ამჟამად "ატლანტა" სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში რვა მოგებითა და ხუთი მარცხით მეორე ადგილზეა. მთელ აღმოსავლეთ დივიზიონში კი მეხუთე პოზიციაზე დამკვიდრდა და პლეი-ოფში გასვლის რეალური შანსი აქვს.

განსაკუთრებული წარმატებებით ვერც ბებერ კონტინენტზე მოასპარეზე ქართველები დაიკვეხნიან. მარკოიშვილის "ბკ კიევმა" უკრაინის ჩემპიონატში პირველი მარცხი იწვნია. დონეცკურ კლუბთან კიეველები 68:87 დამარცხდნენ. მანუმ 24 წუთი ითამაშა და ამ ხნის განმავლობაში 9 ქულა და 3 მოხსნა დააგროვა.

ესპანეთის ჩემპიონატში ნიკა ცქიტიშვილის "ფუენლაბრადამ" "გრანადასთან" გასვლითი მატჩი 63:71 წააგო. ქართველმა კალათბურთელმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 29 წუთში 3 ქულა და 8 მოხსნა შეაწია თავის გუნდს. "ფუენლაბრადა" ოთხი მოგებითა და ხუთი მარცხით ესპანეთის ჩემპიონატში მეათე ადგილზეა. ტაირონ ელისის "კახასოლი" კი ბოლო ადგილს შეეჩვია. ამჯერად საქართველოს ანკრების შავკანიანი გამთამაშებლის გუნდი ვალენსიურ "პამესასთან" 69:74 დამარცხდა. ტაირონმა 17 წუთს ითამაშა და ამ დროში საკუთარ გუნდს 8 ქალა და 2 მოხსნა შეაწია.

## "ჩელსი" კროსით დაინტერესდა

ერთ-ერთი საუკეთესო და ნიჭიერი გერმანელი ნახევარმცველი მიუნხენის "ბაიერნის" წევრი ტონი კროსი "ჩელსის" მესვეურთა ინტერესის სფეროში მოხვდა. გერმანული მედიის ინფორმაციით, "არისტოკრატები" და კიდევ რამდენიმე წამყვანი ევროპული კლუბი შეეცდება კროსის გადაბირებას. მიუნხენელთა ჰავბეკი ევროპის ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლება, მაგრამ "ბაიერნის" მთავრი მწვრთნელი იურგენ კლისმანი არ ჩქარობს მის ძირითად შემადგენლობაში გამოყვანას. მან ამ სეზონში მხოლოდ 7 მატჩში მიიღო მონაწილეობა. 18 წლის ფეხბურთელის მამა რონალდ კროსი, რომელიც ასევე მისი აგენტია, იანვარში აპირებს გადახედოს შვილის მომავალს. დარჩება თუ არა კროსი მიუნხენურ გრანდში, ამას დრო გვიჩვენებს.

## კინეირი "ნიუკასლთან" მუშაობას აგრძელებს

"ნიუკასლის" მთავრი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ჯო კინეირი, რომელიც კლუბში კევინ კიგანის წასვლის შემდეგ დაინიშნა, დეკემბერშიც გააგრძელებს თავისი მოვალეობის შესრულებას.

კინეირი კლუბში სექტემბრის დასაწყისში მივიდა, მაშინ როდესაც "ნიუკასლი" სატურნირო ცხრილის ფსკერზე იყო და გუნდის მფლობელი მაიკლ ეშლი მზად იყო მიეყიდა კლუბი ამერიკელი ბიზნესმენებისთვის, მაგრამ მოლაპარაკება ჩაიშალა. მას შემდეგ, რაც კინეიერს ვადა გაუგრძელდა, ის იანვრის სატრანსფერო პერიოდში რამდენიმე ახალი მოთამაშის მოყვანას აპირებს. 14 ტურის შემდეგ "ნიუკასლმა" მხოლოდ 14 ქულა დააგროვა და მე-15 ადგილზეა.

## პაჟისი "რენში" 2010 წლამდე დარჩება

ფრანგული "რენის" საუკეთესო ბომბარდირმა მიქაელ პაჟისმა კლუბთან კონტრაქტი 2010 წლის ზაფხულამდე გააგრძელა. ამ სეზონში ფორვარდმა ჩატარებულ 12 მატჩში 6 გოლი გაიტანა. 35 წლის პაჟისისათვის "რენი" რიგით მერვე კლუბია, რომლის რიგებშიც ის ირიცხებოდა. 31 წლამდე ფეხბურთელი საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტური დივიზიონის არც ერთ კლუბში არ ირიცხებოდა.

## "ბაიერნი" ზამთარში არავის შეიძენს

მიუნხენის "ბაიერნის" გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა განაცხადა, რომ კლუბი ზამთრის პერიოდში ახალი ფეხბურთელების შეძენას არ აპირებს. "კლუბის ხელმძღვანელობისა და ახალი მწვრთნელის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ "ბაიერნი" ზამთრში ახალ მოთამაშეებს არ შეიძენს. ერთადერთი გამონაკლისი იქნება ამერიკის ნაკრების მოთამაშე ლენდონ დონოვანი, რომელიც იჯარის წესით ავიყვანეთ. საერთო გადაწყვეტილება მიღებულია. ჩვენ ვთვლით, რომ გუნდი სრულადაა დაკომპლექტებული," - განაცხადა ული ჰიონესმა.

## პაულეტა პსჟ-ში დაბრუნდა

პსჟ-ს ყოფილი ფორვარდი პედრო პაულეტა, რომელმაც უკვე გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ, პარიზულ გუნდში დაბრუნდა. პაულეტას კლუბში სელექციონერის როლი დაეკისრება. გასული წლის ნოემბერში პაულეტა დომინიკ როშტოს შემდეგ მეორე გახდა, რომელმაც "პსჟ-ს" შემადგენლობაში 100 გოლი გაიტანა. პაულეტა პსჟ-ს სახელით 5 წელი გამოდიოდა. მან გუნდს ორჯერ მოაგებინა საფრანგეთის თასი და საფრანგეთის ლიგის თასი. პსჟ-ს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება პაულეტა სასელექციო განოყფილებაში დაებრუნებინა. ისინი სიხარულს ვერ მალავდნენ მას შემდეგ, რაც პორტუგალიელი დათანხმდა ეს სამუშაო შეესრულებინა.

## ჯერარდი ბენიტესს მიიჩნევს საუკეთესოდ

"ლივერპულის" ნახევარმცველი სტივენ ჯერარდი გამოტყდა, რომ რაფაელ ბენიტესი საუკეთესოა იმ მწვრთნელებს შორის, რომლებთანაც უმუშავია. "თუ მე მომიწევს ავირჩიო მწვრთნელთა შორის საუკეთესო, რომლებსაც ჩემთვის ბევრი რამ გაუკეთებიათ, დაუფიქრებლად დავასახელებ ბენიტესს. მასთან მუშაობამ ბევრი დაუვიწყარი წუთი მაჩუქა. ბენიტესი დაჯილდოებულია გამარჯვებულის ფსიქოლოგიით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი ამბიციური კლუბისთვის, როგორიც "ლივერპულია". ამ სეზონში ჯერარდმა 12 მატჩში მიიღო მონაწილეობა "ლივერპულის" შემადგენლობაში და სამი გოლი გაიტანა.


AFP ' 2008




# დევისის თასი ესპანელებს დარჩათ

გიორგობა დღე ოქროს ასოებით სამუდამოდ ჩაეწერება ესპანური ჩოგბურთის ისტორიაში. სწორედ მაშინ, როდესაც მართლმადიდებლური სამყარო ამ ბრწყინვალე დღესასწაულს აღვნიშნავდით, პირეენეის ნახევარკუნძულის ნაკრებმა საკუთარი ისტორიის განმავლობაში მესამედ დაისაკუთრა დევისის თასი.

ფინალურ სერიაში ესპანელებმა, ბევრისთვის მოულოდნელად არგენტინის ნაკრები დაამარცხეს. მოულოდნელად იმად, რომ ესპანელებს გასვლითი თამაში ჰქონდათ. ამასთან საკუთარი ლიდერისა და იმავდროულად მსოფლიოს პირველი ჩოგნის - რაფაელ ნადალის გარეშე (მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა დევისის თასის ფინალი. რედ.).

როგორც არ უნდა იყოს, სტუმრებისთვის არც ამას შეუშლია ხელი და ხელიდან ხელში ვერცხლის სასალათეც აღმართეს. პირენეელებმა სამხრეთამერიკელებს ფინალურ სერიაში 4:1 სძლიეს.



TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT
JCB-ს ოფიციალური დილერი საქართველოში

## ფრონტალური-დამტვირთველი: 456 HT

ტექნიკის ტიპი: ფრონტალური-დამტვირთველი
მწარმოებელი: JCB (დიდი ბრიტანეთი)
მოდელი: 456 HT
ძრავის სიმძლავრე: 216 ცხ.ძ.
საექსპლუატაციო მასა: 22,79 ტ.
ციცხვის ტევადობა: 3,5 $მ^3$
ტვირთამწეობა: 11 757 კგ.
მიწოდების ვადა: 1 დღე
გარანტია: 1 წელი, სამუშაო საათების შეუზღუდავად.



მიწოდების ვადა 1 დღე

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. E-mail: jcb@tegetamotors.ge
☎ 244-744, 895 300-711, 244-744 (1219) www.tegetamotors.ge


### ს.ს "გუდაური"
### განცხადება

ს/ს „გუდაურის ბალანსზე რიცხული შ.პ.ს ცენტრი 'საქსოფლპროექტის"

100% წილის რეალიზების მიზნით 12 ნოემბერს გამოცხადებულ აუქციონში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

ბე-ს გადახდის ბოლო ვადად განისაზღვროს 26 ნოემბრის 15:00 საათი და Gგანცხადების შესაბამისი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

ბ-ეს გადახდა სავალდებულოა 26 ნოემბრის 15:00 საათამდე.

### განცხადება

შპს "აფთიაქი 53», მდებარე თემქის დას. XI მ/რ I კვ. 14 კ-ში უერთდება შპს "ფარმექს»-ს, მდებარე წერეთლის 31-ში.

"განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 19 ნოემბრის N983 ბრძანების საფუძველზე ა(ა)იპ "წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის სალვთისმეტყველო ინსტიტუტს" უარი ეთქვა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მიღებაზე."


GT GROUP
ÜÜÜÜÜÜÜÜÜÜÜÜ 48 Ü
ÜÜÜ: 740 740
www.gtgroup.ge

**Ford Transit**
Ford-ის გლობალური იმპორტიორი GT Motors

გარანტია 2 წელი

16 950 ევროდან



**iVan**
"UKR AUTO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
iVan-ის წარმოების საქალაქო და საგარეუბნო ავტობუსი

გარანტია 2 წელი



25 500 ევროდან

**MST**
"SANKO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
MST-ს ბეკოლოუდერები

გარანტია 1 წელი

46 000 ევროდან



GT GROUP
ჯი-თი ჯგუფი - FordCargo -ს ოფიცილაური დილერი საქართველოში
როლოყაშვილის 48 ბ, ტელ: 740 740, www.gtgroup.ge








გარანტია 2 წელი
(გარანტია ვრცელდება ყველა დეტალზე)

4 9 0 0 0 ევროდან

თქვენს საქმიანობაზე მორგებული სატვირთო ავტომობილი

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს კონტროლის პალატა** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს 2 ცალი ახალი, მსუბუქი, სედანის ტიპის ავტომობილის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. **შესყიდვის ობიექტი:**

**ლოტი 1** - ორი ცალი ახალი, მსუბუქი, სედანის ტიპის ავტომობილი.

**შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები:**

1) სიმძლავრე - 150-180 ც/ძ;
2) ძრავის მოცულობა - 2.2 - 2.6 ლიტრი;
3) ფერი - შავი;
4) ცილინდრი - 4;
5) გადაცემათა კოლოფი - 5 სიჩქარიანი, ავტომატური;
6) საწვავის ტიპი - ბენზინი;
7) იმობილაიზერი+სიგნალიზაცია;
8) ტყავის სალონი;
9) ცენტრალური საკეტი;
10) ორზონიანი კლიმატკონტროლი სალონის ფილტრით;
11) წინა და უკანა უსაფრთხოების ბალიშები;
12)წინა და უკანა გვერდითა უსაფრთხოების ბალიშები, ფარდა ბალიშები;
13) კრუიზკონტროლი;
14) ალუმინის დისკები;
15) ელექტრო რეგულირებადი შუშები;
16) ელექტრო რეგულირებადი სარკეები გათბობით;
17) წინა და უკანა თავსადებების რეგულირება;
18) საჭის ჰიდროგამაძლიერებელი;
19) საჭის სიმაღლის რეგულირება;
20) მძღოლის სავარძლის სიმაღლის რეგულირება;
21) აუდიო სისტემის მართვა საჭიდან;
22) წინა და უკანა სანისლე ფარები;
23) ელექტრონული ლუქი;
24) ABS+EBD;
25) წინა სავარძლების გათბობა და ელ. მართვა;
26) უკანა შუშის გამათბობელი თაიმერით;
27) ბორტკომპიუტერი;
28) ფარების ელ.რეგულირება, წინა ფარების გამრეცხი;
29) რადიო 6 დისკიანი CD Changer/9 დინამიკი;
30) ვენტილაციის ელ. მართვა;
31) წინა შუშის წვიმის სენსორი;
32) ქსენონის ფარები;
33) წინა და უკანა პარკირების სენსორები;
34) ტყავის კომბინირებული საჭე;
35) გარანტია 3 წელი ან 100000 კმ.

2. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა კოდი - 220101222, სახაზინო კოდი - 302003000, ანგარიშის №200122900 გადახდის დანიშნულებაში მიუთითოთ საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზ. №96, ოთახი №204, რის შემდეგაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

3. **მიწოდების ადგილი:** ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზ. №96.

4. **მიწოდების ვადები:** ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი დღის ვადაში.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურულ პაკეტში (სატენდერო წინადადების გატანიდან) 2008 წლის 15 დეკემბერს 12 საათამდე, მისამართზე - ქ. თბილისი. ქ. წამებულის გამზ. №96.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიულ პირთათვის:**

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანქციის საქმე;

ბ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი;

გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკომომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**ფიზიკურ პირთათვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ)ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო წინადადებასა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: ვასილ ანდღულაძე, ტელ. 78-81-46.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება აუქციონის გამოცხადების შესახებ

შპს "ერა-98"-ის გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს შპს "ერა-98"-ის ბალანსზე რიცხული ქონების - სამშენებლო მასალებისა და მცირე ფასეულობათა რეალიზაციის თაობაზე, ერთ ლოტად. Lლოტის საწყისი სააუქციონო ფასია 3 934 634 (სამინილიონცხრაასოცდათითხმეტიათას ექვსასოცდათოთხმეტი) ლარი.

შენიშვნა: ლოტის ფასში შედის საზოგადოების სასრგებლოდ წარმოშობილი დებიტორული დავალიანებები, რომელიც შედგენს 624 639 (ექვსასოცდაოთხიათას ექვსასცხრამეტი) ლარს.

Aაუქციონი გაიმართება 2008 წლის 8 დეკემბერს 16 საათზე. მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა N47.

აუქციონის შესახებ ინფორმაცია, სადაც წარმოდგენილია სრული ჩამონათავლი აუქციონზე გამოტანილი ქონებისა და აგრეთვე სხვა აუცილებელი ინფორმაცია აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ 2008 წლის 7 ნოემბრის გაზეთ "24 საათის"-ის ნომერში. დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ შპს "ერა-98"-ის გაკოტრების მმართველს, მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა N47, მობ: 855 57 20 93.

## განცხადება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "რკინის ჯვარს» დაგეგმილი აქვს გარდაბნის რაიონში, სოფ. გამარჯვების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გაჯის ქარხნის სარეაბილიტაციო სამუშაოები. საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გაცნობა შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: გარდაბნის რაიონი, სოფ. გამარჯვება. დოკუმენტაციასთან დაკავშირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების წერილობითი სახით წარმოდგენის ვადაა 45 დღე განცხადების გამოქვეყნების დღიდან. შენიშვნები და მოსაზრებები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ზემოთ მითითებულ მისამართზე. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა მოეწყობა 2009 წლის 14 იანვარს შემდეგ მისამართზე: გარდაბნის რაიონი, სოფ. გამარჯვება.

**შპს "რკინის ჯვარი"-ს ხელმძღვანელობა**

**განცხადება**

2008 წლის 31 ივლისის N172 გაზეთში „24 საათი" სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელის" მიერ სატელევიზიო გადაცემების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული საერთაშორისო ორეტაპიან ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებულები და გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები: N202-2 შპს „დღეს"-თან; N202-3 შპს „რადიო უცნობ"-თან; N202-4 შპს „ვიზარტ სუდია"-სთან; N202-5 შპს „ქართული ანიმაციური სტუდიებ"-თან; N202-6 ფონდ „ქართულ ხარისხ"-თან; N202-7 შპს „თიბისი-ტივი"-სთან.

2008 წლის 23 ოქტომბრის N236 გაზეთ „24 საათში" სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელის" მიერ სტუდიური დეკორაციების დამზადების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული: შპს „მაგი სტილი", რომელთანაც გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N207-1.

2008 წლის 20 ოქტომბრის N233 გაზეთ „24 საათში" სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელის" მიერ სხვადასხვა სახის საოფისე ავეჯის სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული: ი/ს „ლიანა ჭილაია", რომელთანაც გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N208-19.

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ადიგენის რაისამმართველოს ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესახებ

შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველომ ადიგენის რაისამმართველოს ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესასრულებლად ა/წლის 28 ოქტომბერს გააფორმა ხელშეკრულება N35 შპს „ინდუსტრია-2“-თან (საიდ. კოდი 204931244) სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 532999,92 ლარი

**შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო**
**ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N91**
**ტელ. 8(77)527-090**

### სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს მიერ 50 000 ლარზე მეტი ღირებულების სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ ახალი საეთერო გადაცემების რეკლამირებისათვის სარეკლამო მასალის – ბანერის განთავსების მომსახურება; | შპს „ალმა პლიუსი“ | 67101.41 ლარი |
| 2 | სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ ახალი საეთერო გადაცემების რეკლამირებისათვის სარეკლამო მასალის – ბანერის განთავსების მომსახურება; | შპს „აუთდორ-ჯი“ | 304421.15 ლარი |

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ეროვნული ბანკი" აცხადებს განმეორებით ტენდერს ავტომობილის შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტი:** მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი - ერთი ერთეული. (ავტომობილის ტექნიკური აღწერილობა მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში).

**მიწოდების ვადა:** მხარეთა შეთანხმებისამებრ.
**დაფინანსების წყარო:** საქართველოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტი.
**მიწოდების ადგილი**: ქ.თბილისი, ლეონიძის ქ. №3/5.

შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიები. გარანტიების პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა პრეტენდენტებზე 2008 წლის 25 ნოემბრიდან 15 დეკემბრის 12 საათამდე, მისამართზე: სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკი", ლეონიძის ქ. №3/5, საქართველოს ეროვნული ბანკის კანცელარია.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტებში, ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი), 2008 წლის 15 დეკემბრის 12 საათამდე, მისამართზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ლეონიძის ქ. №3/5, საქართველოს ეროვნული ბანკის კანცელარია.

დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს. წარმოდგენილი სატენდერო პაკეტები გაიხსნება სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, 2008 წლის 15 დეკემბრის 12 საათზე, მისამართზე: ქ.თბილისი, საქართველოს ეროვნული ბანკი, ლეონიძის ქ. №3/5, II სართული, სხდომათა დარბაზი, ოთახი № 208.

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირისთვის:**
ა) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

**ფიზიკური პირისთვის:**
ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

**როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისთვის:**
ა) რეკვიზიტებს (ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რევიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი);
ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ.

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარულად დამოწმებული თარგმანის სახით.

სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან არანაკლებ 30 დღე. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე, გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ქ.თბილისი, ლეონიძის ქ. №3/5, ტელ: 442396, 442111. სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო პირი: დავით ჭელიძე. ტენდერის შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე: www.nbg.gov.ge.

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს კონკურსს კუთვნილი სიხშირეების - პირველ და მეორე სატელევიზიო არხების სარეკლამო (მათ შორის სასპონსორო) დროის გაყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

სარეკლამო (მათ შორის სასპონსორო) დროის გაყიდვის პერიოდი: - 2009 წლის 1 იანვრიდან - 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

**1. საკონკურსო პირობები:**

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირველ და მეორე სატელევიზიო არხებზე სარეკლამო (მათ შორის სასპონსორო) მასალების განთავსება;

მოქმედი კანონმდებლობის დაცვით სარეკლამო მასალების მიწოდება, ტექნიკური ხარისხით უზრუნველყოფა;

სარეკლამო მომსახურების ღირებულების გადახდა იწარმოებს ყოველთვიურად (ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე) მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

*ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲡᲐᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐᲨᲘ.*

**2. საკონკურსო ვადები:**

საკონკურსო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება, 2008 წლის 25 ნოემბრის 10:00 საათიდან 2008 წლის 28 ნოემბრის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მეოთხე სართული, ოთახი N416, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის'' მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახურის სარეკლამო ჯგუფი. საკონკურსო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

საკონკურსო განაცხადის და საკვალიფიკაციო მონაცემების მიღება იწარმოებს 2008 წლის 28 ნოემბრის 12:00 საათიდან - 15:00 საათამდე, ქ. თბილისი კოსტავას ქ. N68 სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" კანცელარიაში, საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, დალუქულ კონვერტში. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადები არ მიიღება;

საკონკურსო განაცხადები გაიხსნება 2008 წლის 28 ნოემბერს 15:00 საათზე;

კონკურსის შედეგების გამოცხადება მოხდება არაუგვიანეს 2008 წლის 1 დეკემბრისა;

**3. საკონკურსო წინადადებები უნდა შეიცავდეს:**

ა) ინფორმაციას კონკურსში მონაწილე ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ;

ბ) კონკურსში მონაწილე ორგანიზაციის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

**4. კონკურსში მონაწილის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:**

4.1 იურიდიული პირებისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

4.2 ფიზიკური პირებისათვის:
ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
გ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

**შენიშვნა:** კონკურსში მონაწილეებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნატალია ტყეშელაშვილი, ტელ: (995-32) 40-90-04, 877 92 77 72, ან მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მეოთხე სართული, ოთახი N416, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახურის სარეკლამო ჯგუფი.

# ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულად გამოვლიდნენ შემდეგი ორგანიზაციები და მათთან დადებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები, *იხილეთ ცხრილი:*

| № | გაზეთ „24 საათში" გამოცხადების თარიღი | ტენდერის დასახელება | გამარჯვებული ორგანიზაცია რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ |
|---|---|---|---|
| 1 | 11.10.2008 წ. | მრავალსართულიანი სახლების ეზოების განათების სამუშაოები | შპს „აჭარგანათება" |
| 2 | 11.10.2008 წ. | საშობაო-საახალწლო დღეებში ქალაქის გაფორმებითი სამუშაოები | შპს „აჭარგანათება" |
| 3 | 11.10.2008 წ. | **ლოტი №1 -** ქუჩებისა და ჩიხების გარეგანათების სამუშაოები | შპს „აჭარგანათება" |
| | | **ლოტი №2 -** ქუჩებსა და სკვერებში ხეების დეკორატიული მინათების სამონტაჟო სამუშაოები | |
| 4 | 20.11.2008 წ. | **ლოტი №1 -** მრავალსართულიანი სახლების ეზოების (ლერმონტოვის ქ. №100-104-106-106ა (საერთო ეზო); ტბ. აბაუსერიძის ქ. №9; თამარის დასახლება - სახლი №14-15-40 (საერთო ეზო)) სანიაღვრე სისტემების კაპიტალური სარემონტო სამუშაოები | შპს „ზიმო-7" |
| | | **ლოტი №2 -** მრავალსართულიანი სახლების ეზოების (ტბ. აბაუსერიძის ქ. №25--31; ინასარიძისა და ა. აბაშიძის ქუჩების კვეთა; ინასარიძის ქ. №22) სანიაღვრე სისტემების კაპიტალური სარემონტო სამუშაოები | შპს „გზები" |
| | | **ლოტი №3 -** მრავალსართულიანი სახლების ეზოების (თამარის დასახლება - სახლი №10; თამარის დასახლება - სახლი №14-15; ფიროსმანის ქ. №9 - ტბ. აბუსერიძის ქ. №31; ლეონიძის ქ. №4; ტბ. აბუსერიძის ქ. №18; ლორიას ქ. №3-3ა-5; შაუმეთის ქ. №29) საკანალიზაციო სისტემების კაპიტალური სარემონტო სამუშაოები | შპს „ბათუმის წყალკანალი" |

<u>სატენდერო კომისია</u>

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს საერთაშორისო ტენდერს სამედიცინო დაზღვევის (საოჯახო დაზღვევის პაკეტი) მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი 2008 წლის 15 დეკემბრამდე, ქ. თბილისი, გ. გულუას N8, შსს სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო, რის შემდგომაც შეუძლიათ გაიტანონ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ა/წ 25 ნოემბრის 11.00 სათიდან - 15 დეკემბრის 18.00 საათამდე.

**შესყიდვის ობიექტია: სამედიცინო დაზღვევის (საოჯახო დაზღვევის პაკეტი) მომსახურების შესყიდვა.**

*ლოტი 1*
**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევა, (საოჯახო დაზღვევის პაკეტი) სავარაუდო რაოდენობა 8947 (რვა ათას ცხრაასორმოცდაშვიდი) თანამშრომელი.**

*ლოტი 2*
**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევა, (საოჯახო დაზღვევის პაკეტი) სავარაუდო რაოდენობა 7285 (შვიდი ათას ორასოთხმოცდახუთი) თანამშრომელი.**

*ლოტი 3*
**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევა, (საოჯახო დაზღვევის პაკეტი) სავარაუდო რაოდენობა 3637 (სამი ათას ექვსასოცდაჩვიდმეტი) თანამშრომელი.**

*ლოტი 4*

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევა, (საოჯახო დაზღვევის პაკეტი) სავარაუდო რაოდენობა 545 (ხუთასორმოცდახუთი) თანამშრომელი.**

*შენიშვნა:*

- დეტალური აღწერა შესყდვის ობიექტის შესახებ მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.
- დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებელის გადახდამდე უფლება აქთ ადგილზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.

**1.** მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა: 2009 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**2.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (დედანი და ასლი) უნდა წარმოადგინონ 2008 წლის 16 დეკემბრის 11.00 საათიდან 15.00 საათამდე დახურულ კონვერტში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N8 (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

**3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ბ) ლიცენზია (ნებართვა) შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის;
გ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
დ) ცნობა შეასაბამისი უწყებიდან, რომ არ ხორციელდება პრეტენდენტი ფირმის გაკოტრების საქმე;
ე) ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების შესახებ;
ვ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

**4.** ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით.
**5.** ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.
**6.** ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ღირებულების 2% - ის ოდენობით.
**7.** ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების გარანტირების მექანიზმი, სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით.
**8.** დაფინანსების წყარო - **სახელმწიფო ბიუჯეტი.**
9. პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-**3.** პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
**10.** პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.
**11.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან - ***გივი ლომიძე***, ქ. თბილის გ. გულუას ქ. N8 ტელ: 877 93-01-11, **გიორგი ლაპიაშვილი** 891 19-01-30

სატენდერო კომისია

---

**განცხადება**

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გამოცხადებულ ტენდერზე (T-0808-G-075 სულ 1 ლოტი) "პალიასტომი II"-ის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა (N288 და N289 საყრდენების შეცვლა) ხელშეკრულება გაფორმდა სს "ელექტროქსელმშენთან".

**განცხადება**

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გამოცხადებულ ტენდერზე (T-0708-G-073 სულ სამი ლოტი) ქვემო ქართლში და კახეთში შენობების სარემონტო სამუშაოების შესყიდვა 1-ელ და მე-3 ლოტებში ხელშეკრულება გაფორმდა შპს "არქსტუდია პერისტილთან", ხოლო მე-2 ლოტში შპს "ელექტრიკალ სერვის გრუპთან".

---

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მდებარე ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6, აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს შემდეგი სახის ***სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების*** შესყიდვაზე 2 ლოტად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

***I ლოტი - ოთხი ერთეული მუხლუხებიანი ტრაქტორი;***
***II ლოტი - ოთხი ერთეული გუთანი.***

შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

2. საქონელი მოწოდებული უნდა იქნეს **DDPD**პირობით შემდეგ მისამართზე: მცხეთის რაიონი, სოფ. წეროვანი (ყოფ. სასოფლო-სამეურნეო მანქანათა საგამოცდო სადგური), არაუგვიანეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (დალუქული კონვერტებით, შესაბამისი აღნიშვნებით) უნდა წარმოადგინონ 2008 წლის 17 დეკემბრის 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6, I კორპუსი, 1-ლი სართული, ოთახი 106, სატენდერო კომისიის აპარატი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ტენდერში მონაწილე პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
ე) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს (არსებობის შემთხვევაში);
ვ) სატენდერო წინადადებასა ან ხელშეკრულებაზე ხელმოწერისათვის უფლებამოსილ პირებზე გაცემულ მინდობილობას (საჭიროების შემთხვევაში);
ზ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ;
თ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

5. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უცხოურმა ორგანიზაციებმა სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ კონკრეტული ქვეყნის შესაბამისი ორგანოებიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით **ლეგალიზებული სახით, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.**

6. სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლის სახით. **ფაქსის სახით წარმოდგენილი დოკუმენტები არ განიხილება.**

7. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის, თუ პრეტენდენტი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ ყველა შესაბამის დოკუმენტსა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნული პუნქტითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

8. ქართულ და ინგლისურ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს **200 (ორასი) ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლებათ 25 ნოემბრიდან 16 დეკემბრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6, I კორპუსი, 1-ლი სართული, ოთახი 106, სატენდერო კომისიის აპარატი.

9. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900, ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი, ს/კ 203843010.

10. ტენდერში სატენდერო წინადადებისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის ფორმით.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6, I კორპუსი, 1-ლი სართული. ტელ: (995 32) 37-80-12, სატენდერო კომისიის აპარატი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სატენდერო კომისია

# შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს ტენდერს ქ/ს “გარდაბანი-500” და სოფელ ლესაში 220კვ ე.გ.ხ პალიასტომი 1, პალიასტომი 2 გადამრთველი პუნქტის შემოღობვის სამუშაოს შესყიდვა (1 ლოტი)

| № | სამუშაოს დასახელება (ჩამონათვალი) | შემოღობვა პერიმეტრი | მისამართი | სამუშაოს შესრულების სასურველი ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | ქ/ს „გარდაბანი 500“-ში ლითონ-კონსტრუქციების მონტაჟი | 1016 მ | გარდაბანი აღმაშენებლის ქ. №2 | შემსყიდველის მოთხოვნიდან 90 დღე |
| 2 | სოფელ ლესაში 220კვ ე.გ.ხ პალიასტომი 1, პალიასტომი 2 გადამრთველი პუნქტის ლითონ-კონსტრუქციების მონტაჟი | 103 მ | ლანჩხუთის რაიონი სოფელი ლესა | |

შესასყიდი სამუშაოს დეტალური ტექნიკური სპეციფიკაცია იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში (ტექნიკურ პირობებში).

**აუცილებელი პირობა:**

შესყიდვის განხორციელებისას ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობის. ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 5% ოდენობის.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ანგარიშზე: საქართველოს ბანკის, ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101502, ა/ა 283534100 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, მიუთითონ ტენდერის ნომერი T-1008-G-079.

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2008 წლის 16 დეკემბრის 18:00 საათამდე.

დაფინანსების წყარო ---- შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სახსრები.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2008 წლის 17 დეკემბრის 10:00საათიდან ---- 15:00 საათამდე (თბილისის დროით), შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესყიდვების სამსახურში ოთახი №311.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2008 წლის 17 დეკემბერს 15:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სათაო ოფისის შენობა, მე-4 სართული, სააქტო დარბაზი.

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტაცია:

**იურიდიულ პირთათვის;**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
2. ცნობა ყადაღის არარსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება გაკოტრების ან სანაციის საქმე.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები).

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი, საკონტაქტო რეკვიზიტები).
2. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლების სახით, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმნის სახით.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. ასევე დასაშვებია ინგლისურ ან რუსულ ენაზე (იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განყოფილებების ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. ამ შემთხვევაში მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს) დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით: პრეტენდენტის დასახელება, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სატენდერო კომისიას. ტენდერი № **T-1008-G-079.**

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა საკვალიფიკაციო მონაცემებს ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი, ასევე თუ სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს ან მის მიმართ მიმდინარეობს ლიკვიდაცია-რეორგანიზაციის პროცესი.

აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. №2.

საკონტაქტო პირი: შესყიდვების სამსახურის შესყიდვების აგენტი გივი სულაძე. ტელ: 201700 (1120); მობ. 877 715194.

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ჯანმრთელობის და სოციალური პროგრამების სააგენტო (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12) აცხადებს ხელახალ ტენდერს 2008 წლის სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის მიხედვით კოხლეარული იმპლანტის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

2. შესყიდვის ობიექტია კოხლეარული იმპლანტი - 21 ცალი.

*თანმდევი მომსახურება:* დასაწყობება, შენახვა, გაცემა; საგარანტიო უფასო მომსახურება (მინიმუმ 3 წელი).

***შენიშვნა: ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაციის (ISO) სერთიფიკატის მქონე საქონლის წარმოდგენა. საგარანტიო ვადა - არანაკლებ 3 წელი.***

3. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, პირობით: **INCOTERMS**-2000, **DDP** - თბილისი, მიმწოდებლის მიერ მითითებულ მისამართზე. საქონლის სრული რაოდენობის მიწოდება უნდა დასრულდეს არა უგვიანეს 2008 წლის 20 დეკემბრისა.

4. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2008 წლის 15 დეკემბრის 18 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302003174, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მე-4 სართული, ოთახი N413.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2008 წლის 16 დეკემბერს 10-დან 12 საათამდე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ვ) ცნობა ბიუჯეტის წინაშე ანგარიშსწორების მდგომარეობის შესახებ.

6.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

7. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

8. მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

9. განცხადების 6.1 და 6.2 პუნქტებში მითითებული ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება (წინადადებები).

11. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

12. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, საბანკო გარანტიის სახით.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ალექსანდრე მამალაძე, გულსუნდა ონიანი, ლალი დევიძე. ტელ.: 936629; ვალერი გაზდელიანი ტელ.: 932849, მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მეოთხე სართული, ოთახი N13.

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს ტენდერს სადენებისა და კაბელების შესყიდვაზე (ერთი ლოტი).

| № | *საქონლის დასახელება* | *რაოდენობა (მეტრი)* |
|---|---|---|
| | ***სპილენძის საკონტროლო კაბელები*** | |
| 1 | ეკრანირებული 4X4 მმ$^{2}$ | 7000 |
| 2 | ეკრანირებული 4X6 მმ$^{2}$ | 4500 |
| 3 | ეკრანირებული 27X2.5 მმ$^{2}$ | 520 |
| 4 | ეკრანირებული 10X4 მმ$^{2}$ | 270 |
| 5 | ეკრანირებული 10X2.5 მმ$^{2}$ | 2000 |
| 6 | ეკრანირებული 7X2.5 მმ$^{2}$ | 340 |
| 7 | ПВ-1 ერთძარღვიანი 1 მმ$^{2}$ ან ანალოგიური | 1000 |
